

თეკლა რთველაძე

აზოტის ოქსიდის სისტემის და ჰორმეზისის  
ფენომენის როლი ოქსიდაციური სტრესის  
ჩამოყალიბებაში მთელი სხეულის ჰიპერთერმიის  
პირობებში

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი  
თბილისი  
2022

თეკლა რთველაძე  
აზოტის ოქსიდის სისტემის და ჰორმეზის ფენომენის როლი  
ოქსიდაციური სტრესის ჩამოყალიბებაში მთელი სხეულის  
ჰიპერთერმიის პირობებში

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა  
მედიცინის სადოქტორო პროგრამა  
ხელმძღვანელები: პროფესორი ხათუნა საგანელიძე, აკადემიკოსი  
ნოდარ მითაგვარია

## აბსტრაქტი

დღეს უკვე დადგენილია, რომ ჰორმონების ფენომენი არის ცოცხალი ორგანიზმების ბიოლოგიური ფუნქციების შენარჩუნებისათვის აუცილებელი ფაქტორი. მაგრამ რა არის ჰორმონისი და რა შეიძლება გახდეს ჰორმონისის მაინდუცირებელი სტიმული? ჰორმონისი არის დოზა ეფექტის მოვლენა, რომელშიც ნებისმიერი სახის სტრესმა (ფიზიკური, ქიმიური, ფსიქოლოგიური და სხვა), შეიძლება გამოიწვიოს მაღალი დოზით მავნე ზეგავლენა ბიოლოგიურ სისტემებზე, და ამავე დროს კი, დაბალი დოზით იწვევს ორგანიზმისთვის მომგებიან სტრესის ეფექტს. ორივე შემთხვევაში ორგანიზმში განვითარებულ პროცესებში წამყვანი როლი ეკისრება თავისუფალ რადიკალებს. ოქსიდაციური სტრესი და, შესაბამისად, თავისუფალი რადიკალები ცოცხალ სისტემებზე სხვადასხვა ექსტრემალური ფაქტორების მოქმედების უნივერსალური შედეგი და ამავე დროს ის გამწვები მექანიზმია, რომელიც იწვევს უჯრედის და მთლიანად ორგანიზმის საპასუხო რეაქციას. თავისუფალი რადიკალების ჭარბი დაგროვების დამანგრეველი ეფექტი ვლინდება ორგანიზმის დაბერების პროცესის დაჩქარებაში, ანთებითი პროცესების პროვოცირებაში, სისხლის მიმოქცევის სისტემის ფუნქციონირების დარღვევაში, ნერვული და იმუნური სისტემების აშლილობაში, სიმსივნური დაავადების განვითარებაში და ა.შ.

ჰიპერთერმია დღეისათვის წარმოადგენს ონკოლოგიური მკურნალობის პრაქტიკულად მეოთხე მოდალობას, რომელიც ფართოდ გამოიყენება ევროპის და ამერიკის განვითარებული ქვეყნების კლინიკებში. ამავე დროს, ნაკლები ყურადღება ექცევა მის მიერ გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის გვერდით მოვლენებს. სწორედ ეს არის ჩვენს მიერ დაგეგმილი კვლევის პრაქტიკული ასპექტები, რომლის შედეგებმა შეიძლება დაუყოვნებელი გამოყენება ჰპოვოს ონკოლოგიურ კლინიკებში. პირველ რიგში ეს

ეხება მეტასტაზირებულ შემთხვევებს, როდესაც საჭიროა მთელი სხეულის ჰიპერთერმიის გამოყენება.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს თეთრ ვირთაგვებზე მთელი სხეულის ჰიპერთერმიის პირობებში წარმოქმნილი სხვადასხვა სიმპიერის ოქსიდაციური სტრესის პირობებში რაოდენობრივად შევისწავლოთ ორგანიზმში განვითარებული, როგორც ოქსიდაციური, ისე ანტიოქსიდაციური სტატუსები და მათი გავლენა ცხოველთა, როგორც ქცევით, ისე თავის ტვინის მორფო-ფიზიოლოგიურ მაჩვენებლებზე.

## მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელებს - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორებს ხათუნა საგანელიძესა და ნოდარ მითაგვარიას კვლევის პროცესში აქტიური მხარდაჭერისთვის, ღირებული რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის თანამშრომლებს.

მადლობას ვუხდით ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და თანამშრომლებს პანდემიის პერიოდში განსაკუთრებული ხელშეწყობისთვის.

## შინაარსი

|   |      |
|---|------|
| აბრევიატურები და შემოკლებები.....   | VIII |
| შესავალი.....   | 1    |
| თავი I. ლიტერატურული მიმოხილვა.....   | 18   |
| 1.1. აზოტის ოქსიდი და მისი როლი ოქსიდაციური სტრესის.....  | 29   |
| ჩამოყალიბებაში .....  | 29   |
| 1.2. ოქსიდაციური სტრესი .....   | 33   |
| 1.3. თავისუფალი რადიკალები .....  | 38   |
| 1.4. „ჰორმეზის“ ფენომენი. ....  | 44   |
| თავი II. კვლევის მეთოდოლოგია, მასალა და გამოყენებული<br>მეთოდები.....   | 47   |
| 2.1. მთელი სხეულის ჰიპერთერმიით ინდუცირებული ოქსიდაციური<br>სტრესით გამოწვეული ქცევითი ცლილებების კვლევა .....                              | 48   |
| 2.2. ცხოველთა დასწავლისა და მეხსიერების პროცესის.....   | 48   |
| შესწავლა მრავალსვლიანი, ამღლებული ლაბორინთის.....   | 48   |
| მეშვეობით .....   | 48   |
| თავი III. მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული ოქსიდაციური<br>სტრესის ეფექტი ცხოველთა მეხსიერებაზე და სისხლის რეოლოგიურ<br>თვისებებზე..... | 50   |
| 3.1. სისხლის სინჯების აღება მისი.....   | 51   |
| რეოლოგიური თვისებების და თავისუფალი .....   | 51   |
| რადიკალების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის .....   | 51   |
| 3.2. სისხლის რეოლოგიური თვისებების განსაზღვრა .....   | 54   |
| თავი IV. წყალბადის პეროქსიდით ინდუცირებული.....   | 55   |
| ოქსიდაციური სტრესით გამოწვეული ქცევითი.....   | 55   |
| ცლილებების კვლევა.....  | 55   |
| 4.1. წყალბადის პეროქსიდით ინდუცირებული.....   | 61   |
| ოქსიდაციური სტრესით გამოწვეული ქცევითი .....  | 61   |
| ცლილებების კვლევის შედეგები .....   | 61   |
| 4.2. ცხოველთა მეხსიერებისა და რეოლოგიური თვისებების კვლევა ...  | 66   |
| 4.3. აზოტის ოქსიდის კვლევის შედეგები.....   | 71   |

|   |    |
|---|----|
| მიღებული შედეგების განხილვა.....            | 76 |
| დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები..... | 80 |
| გამოქვეყნებული პუბლიკაციები.....            | 83 |
| გამოყენებული ლიტერატურა.....                | 84 |

## აბრევიატურები და შემოკლებები

**T3/4** - კიბოს კლასიფიკაცია TNM სისტემით, სიმსივნე, რომელიც 5სმ ზე მეტია ან  $\leq 7$ .

**N1/2** - კიბოს კლასიფიკაცია TNM სისტემით, კიბო მოიცავს 1-2 ან 4-9 ლიმფურ კვანძს.

**PTSD** - პოსტტრავმული სტრესული დარღვევა

**ROS** - რეაქტიული ჟანგბადის სახეობები

**CT** - კომპიუტერული ტომოგრაფია

**RBC** - ერითროციტები

**NOS** - აზოტის ოქსიდის სისტემები

**NO** - აზოტის ოქსიდი

**OS** - ოქსიდაციური სტრესი

**AOPP** advanced oxidation protein products - ცილის დაჟანგვის თანამედროვე პროდუქტები

**ROM** - რეაქტიული ჟანგბადის სახეობები

**WBH** - მთელი სხეულის ჰიპერტენზია

**PAT** - პლაზმის ანტიოქსიდანტები

**L-NAME** - ნიტრო- L- არგინინ მეთილესტერი

**NPBI** - არა-ცილებით შეკრული რკინა

**AOPP** - მოწინავე დაჟანგვის ცილის პროდუქტები

**L-ARGININE** - L-არგინინი

**LPO** - ლიპიდური პეროქსიდაცია

**ME/CFS** - ქრონიკული დაღლილობის სინდრომში

**CSF** - ცერებროსპინალური სითხის

**CRS** - ციტორედუქციური ქირურგია

**HIPEC** - ჰიპერტერმული ინტრაპერიტონეალური ქიმიოთერაპიით

**HT** - ჰიპერტენზია

**FRO** - თავისუფალი რადიკალების დაჟანგვის პროცესები





## შესავალი

ჰიპერთერმიის სამკურნალო ძალისადმი რწმენა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მოდის. მისი ეფექტი აღინიშნა ძველი ეგვიპტის მოწინავე კულტურებში (ძვ. წ.ა. 2400 წ.), მაგრამ თერაპიული მიზნით, მხოლოდ ბერძნული ანტიკური მედიცინის სპეციალისტებმა გამოიყენეს იგი და აღიარეს, როგორც „მაღალი დათბობის" ("Hyperthermia" - თარგმანი ბერძნულიდან) მეთოდი.

XXI საუკუნე ასოცირდება მეცნიერულ-ტექნოლოგიურ ეპოქასთან. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინა დღითიდღე ახალ ნაბიჯებს დგამს, სიმსივნური დაავადებები კვლავ პროგრესირებადია. მათ სამკურნალოდ, როგორც ცნობილია, გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ან კომბინაცია. ქირურგიული მკურნალობის გარდა, აქტუალურია - რადიო, ქიმიოთერაპია (სარალიძე მ., 2006). სხივური თერაპია - არის მაიონიზებული გამოსხივების მიზანმიმართული გამოყენება სიმსივნური და არასიმსივნური (ოპერაციის შემდგომი ინფილტრაციული პროცესები, კიდურების ამპუტაციის შემდგომი გართულება, სახსრების ანთებითი და დეგენერაციული ცვლილებები და სხვა) დაავადებების სამკურნალოდ. როგორც ცნობილია, რადიო და ქიმიოთერაპიის შესაძლებლობები შეზღუდულია იმ მძიმე გართულებებით, რომლებიც დაკავშირებულია რადიომგრძობიარე ქსოვილების დაზიანებასთან. ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ  $\gamma$ -დასხივების დროს რადიომგრძობიარე ორგანოების უჯრედების სწრაფი სიკვდილის მიზეზს წარმოადგენს ცილა p-53-ზე დამოკიდებული აპოპტოზის განვითარება [Assaad W, 2003].

როგორც სარალიძე ნ. თავის სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნავს, რადიაციული დაზიანების მექანიზმების შესასწავლად მრავალი კვლევაა ჩატარებული ცოცხალი ორგანიზმის ორგანიზაციის ფიზიკო-ქიმიურ, ბიოქიმიურ და მოლეკულურ

დონეზე. ცნობილია, რომ რადიაციული დაზიანების ეს ეტაპები მჭიდროდაა დაკავშირებული თავისუფალი რადიკალების რეაქციების მიმდინარეობასთან.

უკანასკნელ ათწლეულებში სიმსივნეების სამკურნალოდ ჰიპერთერმიის კლინიკური გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ცნობილია, რომ რადიო ან ქიმიოთერაპიული სამკურნალო ეფექტი იზრდება, თუ მას წინ უძღვის ჰიპერთერმული მკურნალობა 40-44°C-ის ფარგლებში [Van Der Zee, 2002]. ნორმალურ და სიმსივნურ ქსოვილებს შორის თვისობრივი განსხვავების გამო, ამ ტემპერატურულ ზღვარში, მიღწეულ იქნა სიმსივნური უჯრედების სიკვდილი.

ცნობილია, რომ თერმული ფაქტორის სამედიცინო შესაძლებლობები უძველესი დროიდან გამოიყენება. თუმცა, მხოლოდ მეოცე საუკუნეში სცადეს მეცნიერებმა და სამედიცინო პრაქტიკოსებმა ჰიპერთერმიის გამოყენება კიბოს, იმუნოგენური, ვირუსული და სხვა დაავადებების სამკურნალოდ და მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს. დღესდღეობით კლინიკებში გამოიყენება ჰიპერთერმული ზემოქმედების სამი ტიპი:

**ლოკალური (ზედაპირული) ჰიპერთერმია** – ჰიპერთერმული ექსპოზიციის ვარიაცია, რომელიც გამოიყენება ლოკალურად შეზღუდული და მოწინავე სიმსივნეებისთვის (მაგალითად, კანის კიბო, მკერდის მორეციდივე კიბო ან თავისა და კისრის არაოპერაციული სიმსივნეები). გამოკვლეულია, რომ ლოკალური ჰიპერთერმიის ტექნიკა მიზნად ისახავს გამოყენებული თერმული დოზების მეტი კონტროლის მიღწევას და მთელი სხეულის გათბობასთან დაკავშირებული გვერდითი ეფექტების შეზღუდვას [Z. Behrouzki, Z. Joveini, B. Keshavarzi, N. et al. 2016]. აქამდე, რადიოსიხშირული ტალღები, ულტრაბგერითი და მიკროტალღები იყო პირველი ლოკალიზებული თერმული პროცედურები, რომლებიც გამოიკვლიეს პრეკლინიკურ და კლინიკურ სცენარებში. რეაქტიული ნანომასალები, რომლებიც წარმოქმნიან სითბოს

გარედან გამოყენებული მაგნიტური ველების ან სინათლის საპასუხოდ [S. K. Sharma, N. Shrivastava, F. et al. 2019].

**რეგიონალური ღრმა ჰიპერთერმია**-რომელიც განკუთვნილია ღრმად განლაგებული სიმსივნეებისთვის ან დიდი სიმსივნური უბნებისთვის (სწორი ნაწლავის კიბო, შარდის ბუშტის კიბო, რბილი ქსოვილების მაღალი რისკის სარკომები, საშვილოსნოს ყელის კიბო ან პანკრეასის კიბო და ა. შ. სწორედ, ჩრდილოეთ კაროლინაში, დურჰემში, დიუკის სამედიცინო ცენტრმა შეისწავლა პრეოპერაციული რადიოთერაპიის გამოყენება რეგიონულ HT-სთან ერთად [Prosnitz LR, et al. 1999].

**მთლიანი სხეულის ჰიპერთერმიის** კლინიკური გამოყენება იწვევს ავთვისებიანი უჯრედების აპოპტოზს, აივ და HCV ინფიცირებულ პაციენტებში ვირუსული დატვირთვის შემცირებას. მთლიანი სხეულის ჰიპერთერმიის ტექნოლოგიის გამოყენება იწვევს ხელოვნური ვენტილაციის დროს შესამჩნევ შემცირებას და გართულებების პრაქტიკულ გამორიცხვას [Suvernev Alexey V., et al. 2013].

მარტივი სითბოს თერაპია არის ტკივილის, დაძაბულობისა და დაზიანებების მკურნალობა 41 °C-ზე ნაკლები ტემპერატურის განხორციელების გზით. დაახლოებით, ერთი საათია საჭირო, ფიზიოლოგიური პროცესების გამოყენებით მეტაბოლური სიჩქარისა და სისხლის ნაკადის ამალღებისთვის [Roemer RB., et al. 1999].

სიმსივნური უჯრედების თვისებები - ჰიპოქსია, დაბალი pH, შეიძლება სასარგებლო იყოს სითბურ თერაპიაში. სიმსივნის მჟავე გარემო მდგრადობას სძენს რადიაციას, მაგრამ ხელს უწყობს უჯრედების სიკვდილს სითბოს გამო. HT-ის ეფექტი დამოკიდებულია ექსპოზიციის დროსა და ტემპერატურაზე. ითვლება, რომ HT გავლენას ახდენს სიმსივნის მგრძობელობაზე სხვა სამკურნალო საშუალებების მიმართ, ძირითადად მიკროგარემოს ფაქტორებით, როგორცაა pH. ერთ-ერთი ჰიპოთეზა HT-ის მექანიზმის შესახებ არის ის, რომ სიმსივნური

რეზისტენტული უბნები აღმოფხვრება ჰიპერთერმიულ სიტუაციებში დაკავშირებული ჰიპერვასკულარიზაციის გამო, რომელიც წარმოიქმნება მაღალ ტემპერატურაზე და მაღალ მგრძობელობაზე ჰიპოქსიის გამო [Valdagni R, et al. 1994].

მთელი სხეულის ჰიპერთერმია უზრუნველყოფს სითბოს განაწილებას მთელ სხეულზე და ამიტომ ძირითადად გამოიყენება მძიმე შემთხვევებში, როდესაც არსებობს მეტასტაზები და სისტემური ავთვისებიანი სიმსივნეები. მთელი სხეულის ჰიპერთერმია ხორციელდება ყველა ორგანოსა და სისტემის ფუნქციონირების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. დღესდღეობით აქტუალური პრობლემაა ადგილობრივი და ზოგადი ჰიპერთერმიის პრაქტიკული გამოყენება [Жарвид Э.А., Фрадкин С.З., Безручко В.Н., 1986]. ჰიპერთერმიამ შესაძლოა ფართო გავრცელება ჰპოვოს ონკოლოგიაში იმ შემთხვევაში, თუ კარგად იქნება შესწავლილი მაღალი გარე ტემპერატურის ზემოქმედების ზოგადი კანონზომიერება და ასევე, შესწავლილ იქნება ადაპტოგენები [Васильченко А.Н., 1988]. ეს მეთოდი ძალზე ეფექტურია სიმსივნური უჯრედების განადგურებისას და კიბოს მკურნალობისას არ იწვევს გვერდით ეფექტებს. მეორეს მხრივ, ჰიპერთერმიის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივ მკურნალობასთან ერთად. ნანოტექნოლოგიამ შექმნა უზარმაზარი შესაძლებლობები კვლევის თითქმის ყველა სფეროში და მათ შორის, ჰიპერთერმიული მკურნალობაშიც. მაგნიტური ნანონაწილაკების (MNPs) გამოყენება გვთავაზობს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც შეუძლებელია ჩვეულებრივი მაგნიტური მასალების გამოყენებით [Jobin Jose et al., 2020].

მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ტიპის მიხედვით, პაციენტებმა შეიძლება მკურნალობის დროს მოითხოვონ ზოგადი ანესთეზია ან ღრმა სედაცია. სხეულის გაცხელება 42,0 °C-მდე 60 წუთის განმავლობაში („საშიში“ WBH) ან 39,5–41,0 °C-მდე სამი-ოთხი საათის განმავლობაში („მოკრძალებული“ WBH) სხვაგვარად

შეიძლება გაძნელდეს [Wust P, et al. , 2002; Prosnitz LR, et al. 1999; Song CW et al. , 1987; Cavaliere R, 1967].

WBH მკურნალობის სესია ჩვეულებრივ გრძელდება ოთხი საათი. სამიზნე ტემპერატურის მიღწევას ორი საათი სჭირდება, რომელიც შენარჩუნებულია კიდევ ერთი საათის განმავლობაში და მოჰყვება ერთი საათის გაგრილების პერიოდი. პაციენტის სისტოლური არტერიული წნევის შესანარჩუნებლად 100 მმ Hg-ზე ზემოთ, ხდება ნორმალური ფიზიოლოგიური ხსნარის ინიექცია [Wiedemann GJ, et al. 1994; Kerner T, et al. 2002].

მთელი სხეულის ჰიპერთერმიას შეუძლია წარმოადგინოს ყველაზე ერთგვაროვანი თერმული მიწოდება, ეს კი დაკავშირებულია ბევრ სირთულესთან (მაგ., თერმული წნევა გულში, ფილტვებში, ღვიძლში ან ტვინში). დიარეა, გულისრევა და ლებინება ხშირად გვხვდება, მაგრამ ისინი დროებითი გვერდითი მოვლენებია [van der Zee J., 2002].

შორეული მეტასტაზების მქონე კარცინომებში ფიქსირებული მაქსიმალური ტემპერატურა 42°C მცირე არასასურველი შედეგებით შეიძლება შენარჩუნდეს ერთი საათის განმავლობაში. ასეთი პროცედურის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ღრმა დაბუყებისა და სიმშვიდის, ან ზოგადი ანესთეზიის დროს. ინტუბაციის საჭიროება უსაფრთხოებისთვის, ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

ექსტრემალური ტემპერატურული ფაქტორით ზემოქმედების პერიოდში, რასაც თან ახლავს ჰიპერთერმია, აუცილებელია ორგანიზმის მდგრადობა [Medvedev O., Amannepesov K., Sultanov G, 1991]. იმ შემთხვევაში, თუ ადაპტაციის არასპეციფიკური მექანიზმები ვერ ჩამოყალიბდება ან აღმოჩნდება არასაკმარისი, დგება დეკომპენსაცია და რეგულაციის დარღვევა ორგანიზმის მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით. ასევე ხდება პათოლოგიური ცვლილებების ჯაჭვის განვითარება, რამაც ჰიპერთერმიის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლოა ორგანიზმის

სიკვდილი გაოიწვიოს. [Хомутов А.Е., Гинойн Р.В., Лушникова О.В., 2009].

დღეისათვის დასრულებული კლინიკური პროტოკოლი ჰიპერთერმიისა და ქიმიოთერაპიის კომბინაციაზე არ არის ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ამ მიდგომამ ახლა გაცილებით მეტი ინტერესი გააჩინა სამედიცინო ონკოლოგიის სფეროში. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ადგილობრივი (ლოკალური) ან რეგიონალური ჰიპერთერმიისთვის არსებული ადჰუვილოზის ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ღრმა დაზიანებისა და სისტემური ჰიპერთერმიისთვის. კიდევ ერთი მიზეზი უკავშირდება უფრო ზოგად, მულტიმოდალური სტრატეგიების გამოყენებას, რაც ხელს უშლის შორეული მეტასტაზების გავრცელებას. მაგალითად, T3/4 N1/2 ან სიმსივნეები, რომლებიც არასახარბიელო ანატომიურ ადგილებზეა განლაგებული, სადაც ქირურგიული მიდგომა ხშირად ფერხდება, ხოლო რადიოთერაპიის ტოქსიკურობა ზღუდავს პოტენციურად თერაპიული საშუალებების გამოყენებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქიმიოთერაპია ჰიპერთერმიასთან ერთად, რადგან დადგენილია, რომ ჰიპერთერმია ზრდის სისტემური ქიმიოთერაპიის ეფექტურობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს კლინიკურ მტკიცებულებათა და ექსპერიმენტთა სიმრავლე ჰიპერთერმიის და რადიაციის ერთად გამოყენებისა, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სითბო ხელს უწყობს ქიმიოთერაპიას ამ შემთავაზებულ მექანიზმებზე დაყრდნობით [A. L. Oei, H. P. Kok, 2020 , Chang D., Lim M., 2018].

XX საუკუნის მეორე ნახევარში მანფრედ ფონ არდენმა და ნიკოლაი ალექსანდროვმა აღმოაჩინეს, რომ ავთვისებიანი უჯრედების პოპულაციების გადახურება, მკვეთრად ზრდის მათი სიკვდილის ალბათობას რადიაციის და ქიმიოთერაპიის ზემოქმედებასთან ერთად [Девятков Н. Д., 1993]. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქვეყნის წამყვან სამედიცინო

დაწესებულებებში ჩატარებულმა კვლევებმა, მათ შორის დიუკის უნივერსიტეტში [U R, Noell KT, Woodward KF, et al., 1980] და ანდერსენის კიბოს ცენტრში [Corry PM, Spanos WJ, Tilchen E], et al., 1982] აჩვენა, რომ სიმსივნეების მკურნალობამ მხოლოდ რადიაციული თერაპიით დადებითი შედეგი გამოიღო, საშუალოდ, 30 პროცენტში, ხოლო რადიაციული თერაპიით მკურნალობის შესაბამისი მაჩვენებლები ჰიპერთერმიასთან ერთად იყო 70 პროცენტი [C.A. Perez, B.N. Emami, G. Nussbaum and S. Sapareto., 1989].

მე-20 საუკუნეში მაღალი სიხშირის დენის გამოყენება პოპულარული გახდა სიმსივნეების სიცხით სამკურნალოდ, რაც იწვევს სითბოს წარმოქმნას ხახუნის გზით [B. Prasad, J. K. Kim, 2019; G. S. Gazelle, S. N. Goldberg, L. 2000]. მიკროტალღები ასევე მოიხმარენ რადიოსიხშირულ ენერგიას, მაგრამ იყენებენ ბევრად მაღალ სიხშირეებს (915–2450 MHz). მკურნალობის ამ მეთოდმა კლინიკური ტესტირება დაიწყო 1970-იან წლებში და გამოავლინა თავისი ეფექტი სიმსივნეში განლაგებული ანტენების საშუალებით, რომლებიც იწვევენ ქსოვილებში წყლის მოლეკულების რხევას გამოყენებული სიხშირით. ეს ვიბრაციები ასევე შემდგომში გარდაიქმნება სიცხეში ხახუნის გზით [T. P. Ryan, C. L. Brace, 2017; N. Siauve, C. Lormel, J. 2012]. ულტრაბგერა პირველად შეფასდა კლინიკაში თერმული გამოყენებისთვის ჯერ კიდევ 1940-იან წლებში, საკმაოდ დიდი დრო დაჭირდა მაღალი ინტენსივობის ფოკუსირებულ ულტრაბგერაზე (HIFU) გადასვლას, რაც 1990-იან წლებში განხორციელდა. ეს პროცედურა იყენებს აკუსტიკურ ტალღებს (0,5–3,5 MHz) წარმოქმნილი გადამცემის მიერ, რომელიც იწვევს შეკუმშვისა და ზეწოლას სამიზნე ქსოვილის გარემოზე, ეს კი მიზეზი ხდება ადგილობრივი ტემპერატურის ამაღლებისა. [Z. Wei, X. Yang, 2020; J. Yang, J. Wang, 2018].

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულმა მეთოდმა გარკვეული შესაძლებლობებით მიაღწია კლინიკურ აღიარებას, დღემდე ყველაზე მისაღებად მიჩნეულია მაინც რადიოსიხშირული



ჰიპერთერმია, რომელიც ამჟამად გამოიყენება მრავალი კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობისას. [K. Yamakado, H. Takaki, 2014; M. Regier, F. Chun, 2015; N. J. Shaheen, G. W. Falk, 2016; M. De Filippo, U. Russo, 2018; I. A. S. Elhelf, H. Albahar, 2018].

ბოლო ათწლეულში, ჰიპერთერმიით მკურნალობა რადიაციასთან ერთად გამოიყენება იმ მიზნით, რომ მოხდეს პაციენტების სრული განკურნება გულმკერდის, თავის, კისრისა და პროსტატის ონკოლოგიური დაავადებების ადრეულ სტადიაზე. საკუთარ კვლევებში ამერიკელმა ექიმმა ჯეიმს ბიჩერმა დააფიქსირა კეთილსაიმედო შედეგი რადიაციული თერაპიასთან კომბინაციაში ჰიპერთერმიით მკურნალობაზე, რომლის სურათი ასე გამოიყურება: მკერდის ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევების 82 პროცენტში, თავისა და კისრის სიმსივნეებისთვის 88 პროცენტში და პროსტატის სიმსივნეების 93 პროცენტში. ხუთწლიანი დაკვირვებისას პაციენტის გადარჩენის სავარაუდო მაჩვენებელი მკერდის სიმსივნეებისთვის იყო 80 პროცენტი, 88 პროცენტი თავისა და კისრის კიბოსთვის, 87 პროცენტი პროსტატის სიმსივნეებისთვის [Haim I. Bicher, Nazar Al-Bussam, 2006].

ჰიპერთერმიისა და რადიაციის მსგავსად, სითბოს ქიმიოსენსიბილიზაციის ეფექტი მნიშვნელოვნად განსხვავდება თერმული დოზის, მკურნალობას შორის დროის ინტერვალისა და თავად კიბოს მიხედვით, ქიმიოთერაპიის განსხვავებული მექანიზმით მოქმედება [R. D. Issels, *Eur. J. Cancer* 2008]. მსგავსმა კვლევამ გაზომა ფიბროსარკომის თავის მოდელების ქიმიოსენსიბილიზაციის ეფექტები, რომლებიც გაცხელებულია 41.5 °C-მდე 30 წუთის განმავლობაში გემციტაბინის (60 ან 120 მგ/კანოტე) ინტრაპერიტონეალური ინექციების შემდეგ. (20 ან 40 მგ კგ<sup>-1</sup>), დოცეტაქსელი (175 ან 350 მგ მ<sup>-2</sup>), პაკლიტაქსელი (75 ან 150 მგ მ<sup>-2</sup>), ან ოქსალიპლატინი (8,5 ან 17 მგ კგ<sup>-1</sup>). გემციტაბინი, დოცეტაქსელი და ირინოტეკანი განიცდიდნენ სიმსივნის ზრდის მნიშვნელოვან შეფერხებას წამლების როგორც დაბალი, ასევე მაღალი დოზების

მიღებისას სითბოსთან ერთად. ოქსალიპლატინი სენსიბილიზებული იყო მხოლოდ უფრო მაღალი დოზით, მაშინ როდესაც პაკლიტაქსელს არ აჩვენა რაიმე სარგებელი. 2016 წელს გამოქვეყნებული მიმოხილვით შეფასდა ჰიპერთერმიისა და ქიმიოთერაპიის კომბინაცია, როგორც პოტენციური მკურნალობა არა კუნთოვანი ინვაზიური ბუშტის კიბოსთვის. სელექციურ პირობებში, ცისპლატინმა, მიტომიცინი C-მ, გემციტაბინმა, ეპირუბიცინმა და დოქსორუბიცინმა შეიძლება აჩვენონ თავიანთი ეფექტურობის მნიშვნელოვანი სარგებელი სითბოსთან შერწყმისას ( $\approx 40-43^{\circ}\text{C}$  ერთი საათის განმავლობაში) [M. Urano, 1999].

ჰიპერთერმიამ შეიძლება სიმსივნის შიგნით წარმოქმნილი ტემპერატურის მეშვეობით გავლენა მოახდინოს კიბოს ყველა მახასიათებელზე. იმისათვის, რომ ქიმიოთერაპიის, რადიაციული და იმუნოთერაპიის ეფექტურობა მაქსიმალურად გაზრდილი იქნას, საჭიროა, თერმული მკურნალობის ჩართვაც. გარდა ამისა, ტემპერატურული პარამეტრების და თერმული ენერჯის მიწოდების მონიტორინგში მიღწევები მომავალში დოზიმეტრიის გაუმჯობესებულ კონტროლს უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით მეტი სამუშაოა ჩასატარებელი, ვიმედოვნებთ, რომ ლოკალიზებული ჰიპერთერმია ბევრ დადებით შედეგს მოიტანს კიბოს მკურნალობისას.

ამრიგად, ჰიპერთერმია ქიმიოთერაპიასთან კომბინაციაში, როგორც დამატებითი მოდალობა, გამოიყენება კლინიკურ პრაქტიკაში [M. H. Falk and R. D. Issels, 2001].

მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ერთ-ერთი მეთოდის თანახმად, გასათბობად პაციენტს ათავსებდნენ სპეციალურ აბაზანაში და ასხამდნენ გახურებულ წყალს რეაქტიული მოწყობილობების დახმარებით, რის შედეგადაც მისი სხეულის ტემპერატურა  $42-43^{\circ}\text{C}$ -მდე მატულობდა. პაციენტის თავს სპეციალური ჩაფხუტით აცივებდნენ. პროცედურის ხანგრძლივობა დაახლოებით 6 საათია.

თერმული თერაპიისთვის თერმული დოზის კონტროლი და მონიტორინგი აუცილებელია, რათა სიმსივნეში უზრუნველყოფილ იქნას თერაპიული ტემპერატურის მიღწევა და ასევე დაიზოგოს ჯანსაღი ქსოვილი სითბოს მიერ გამოწვეული დაზიანებისგან [M. Kroesen, H. T. Mulder, J., 2019; A. Bakker, J. Van Der Zee, 2019]. კლინიკაში ტემპერატურის მონიტორინგი ხდება ტემპერატურის სენსორების გამოყენებით, რომლებიც სტრატეგიულად არის განთავსებული სამიზნე ადგილის, ტემპერატურის წყაროს, მიმდებარე ჯანსაღი ქსოვილისა და დამატებითი მაღალი რისკის უბნების არეალის დასაფარავად. სიმსივნეებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ინვაზიურ მონიტორინგს (1 სმ-ზე უფრო ღრმა, ევროპული ჰიპერთერმული ონკოლოგიის საზოგადოების მიერ გამოქვეყნებული გაიდლაინების თანახმად, ESHO), გამოსახულების მართვადი კატეტერები გამოიყენება სენსორების შიდა განლაგების გასააქტიურებლად [H. D. Trefná, H. Crezee, 2017]. სენსორები ასევე შეიძლება გაერთიანდეს თერმული გამოსახულების ტექნიკასთან, როგორცაა მაგნიტური რეზონანსი და ინფრაწითელი გამოსახულება, რათა მოხდეს მათი ვიზუალიზაცია არაინვაზიური გზით [G. Bruggmoser, S. Bauchowitz, R., 2011]. კლინიკაში ღრმად მდებარე სიმსივნეებისთვის, რომლებიც მიჩნეულია შეუფერებლად ინვაზიური ტემპერატურის მონიტორინგისთვის, ან ტემპერატურის განაწილების უფრო დიდი ხედვის უზრუნველსაყოფად, ვიდრე მხოლოდ სენსორებს შეუძლიათ, მკურნალობის დასაგეგმად უფრო მეტად გამოიყენება სამიზნის სიმულირებული თერმული რუკა [H. D. Trefná, H. Crezee, 2017; H. P. Kok, J. Crezee, 2020; S. Gavazzi, 2020].

თერმული მგრძობელობის გამო, სიმსივნეებში სისხლძარღვთა სტაზის გამოსაწვევად, უფრო დაბალი ტემპერატურაა საჭირო, ვიდრე ჯანსაღი ქსოვილისათვის. მაგალითად, 41-42 °C ტემპერატურა მიდრეკილია კურდღლის სიმსივნეებში სისხლძარღვთა სტაზის გამოწვევისკენ, მაშინ როცა ეს ეფექტი ვლინდება 47 °C-მდე ჯანმრთელ ქსოვილში (მკურნალობის ერთი საათის შემდეგ). ამ კვლევაში, სისხლძარღვთა სტაზის

გაზომვა მოხდა კურდღლის ყურის სამაგრებში ჯანსაღი და კიბოს ქსოვილებისგან მიღებული მიკროსისხლძარღვების მიკროსკოპული გაზომვებით [T. E. Dudar, R. K. Jain, *Cancer Res.* 1984]. გარდა ამისა, 42 °C ან მეტი ტემპერატურა 30–60 წუთის განმავლობაში ეფექტური იყო კიბოს მოდელებში სტაზის გამოსაწვევად, ხოლო 45°C ან მეტი ტემპერატურა აუცილებელი იყო იგივე ეფექტისთვის ჯანმრთელ ქსოვილებში. სიმსივნეებში ამ თერმულად გამოწვეული სტაზის მიღმა არსებული მექანიზმები იწვევს ენდოთელური უჯრედების დაზიანებას, თრომბოციტების და ლეიკოციტების ადჰეზიას, ერითროციტების აგრეგაციას და კაპილარების თრომბოზს, რამაც თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს აციდოზი [P. Vaupel, et al. 1988].

სამეცნიერო კვლევებში აღწერილია, რომ ჰიპერთერმია (ჩვეულებრივ 42-43°C 60 წუთის განმავლობაში ან მეტი), რომელიც არღვევს უჯრედულ ფუნქციებს სამიზნე უჯრედებში, აზიანებს უჯრედულ არქიტექტურას ცილების დენატურაციის გზით, რაც იწვევს უჯრედის მემბრანის და მიტოქონდრიის დაზიანებას, ასევე მრავალი ბიოქიმიური გზის დარღვევას, მათ შორის ტრანსკრიფციას, რეპლიკაციას და დნმ-ის შეკეთებას.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლძარღვთა სტაზის ინდუქციას აქვს თანდაყოლილი სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტი, მას ასევე შეუძლია ზიანი მიაყენოს კომბინირებულ თერაპიას და მკურნალობის გეგმების შემუშავებისას ეს უნდა იყოს გათვალისწინებული. ჰიპოქსიური სიმსივნეები აშკარად რადიორეზისტენტულია რეაქტიული ჟანგბადის სახეობების (ROS) შემცირებული დონის გამო, რომელიც საჭიროა დნმ-ის დაზიანების ინდუქციისთვის და გადარჩენის პროპაგანდის შემდგომი აქტივაციის გამო (ჰიპოქსიის ინდუქციური ფაქტორი 1-HIF-1-სიგნალიზაცია) [M. R. Horsman, J. Overgaard, *J. Radiat. Res.* 2016]. უფრო მეტიც, სისხლის ნაკადის ანტაგონიზაცია ხელს უშლის სიმსივნეში წამლების დაგროვებას; აქედან გამომდინარე, სისხლძარღვთა სტაზის გამოწვევას სიცხეში შეიძლება ჰქონდეს

მავნე ზეგავლენა ქიმიოთერაპიისა და რადიაციის ეფექტურობაზე და უნდა იქნას გათვალისწინებული კომბინირებული თერაპიის მკურნალობის გეგმების შემუშავებისას.

ცენტრალური ნერვული ქსოვილის გარდა ბიოლოგიური ქსოვილების უმრავლესობა ტოლერანტულია ჰიპერთერმიული ზეგავლენისადმი და შეიძლება გაუძლოს 44°C-ზე მაღალ ტემპერატურასაც. რაც შეეხება ცენტრალური ნერვული სისტემის ქსოვილებს, ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნებულ მონაცემებში არსებობს გარკვეული შეუსაბამობა, რომელიც ეხება სხვადასხვა ტემპერატურული რეჟიმით ჩატარებული მკურნალობის შედეგად თავის ტვინში განვითარებულ შეუქცევად ცვლილებებს [Fike et al., 1991; Sminia et al., 1994; Matsumi et al., 1994; Mitagvaria et al., 2016].

სისხლის მიწოდების ხელმისაწვდომობა სიმსივნეების მდგრადი პროგრესირებისთვის აუცილებელია. სისხლი სიმსივნესთვის საკვები ნივთიერებებისა და ჟანგბადის წყაროს უზრუნველყოფს, ასევე მოქმედებს როგორც ნარჩენების მოცილების საშუალება. გარდა ამისა, ის წარმოადგენს მეტასტაზების გავრცელების წყაროს. აქედან გამომდინარე, სისხლძარღვების ფორმირება - ანუ ანგიოგენეზი - არის საკვანძო ნაბიჯი კიბოს ზრდასა და გავრცელებაში [R. Lugano, M. Ramachandran, A. Dimberg, 2020.] ჩვეულებრივ, ემბრიონში გააქტიურებული ორგანოგენეზის დროს კიბო აღდგენით პროცესებს საკუთარი სარგებლისთვის იყენებს [Gary Hannon, Felista L. Tansi, Gary Hannon, Felista L. Tansi, Ingrid Hilger 2021] ანგიოგენეზის გატაცება ცნობილია როგორც „ანგიოგენური გადამრთველი“ და გულისხმობს პრო-ანგიოგენური და ანტიანგიოგენური ფაქტორების ბალანსის დარღვევას სისხლძარღვების სწრაფი წარმოქმნის სასარგებლოდ.

სხვადასხვა გარეგან, ბუნებებრივ ფაქტორს, ნივთიერებების თუ მოვლენების გამომწვევ მიზეზებს შეუძლია ცოცხალ ორგანიზმზე უარყოფითი და დამღუპველი მოქმედებაც კი გამოიწვიოს. იგივე ფაქტორების მცირე დოზების საპასუხოდ ორგანიზმში ამოქმედდება შინაგანი თავდაცვითი, დამცავ-

კომპენსატორული, მათ შორის იმუნური მექანიზმები, რომლებიც არა მარტო თავიდან იცილებენ მავნე გავლენას, არამედ გამოიმუშავებენ და აძლიერებენ ბრძოლისუნარიანობას იგივე მავნე ფაქტორების მზარდი დოზით მოქმედებისას. ანუ ხდება ე.წ. პრეკონდიციონება, რომელიც წარმოადგენს ჰორმონის მოვლენის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მაგალითს. გარდა ამ მაგალითისა, ჰორმონის ფენომენის ამოქმედების შედეგად, ორგანიზმში ვითარდება სხვა მრავალი დაცვითი მოვლენა, რომელთა მოქმედების მექანიზმების შესახებ არსებობს მეცნიერთა მხოლოდ ცალკეული მოსაზრებები.

ჯერ კიდევ 1888 წელს გერმანელმა ჰუგო შულცმა საფუარზე, ექსპერიმენტულად აჩვენა რომ ტოქსინის შეყვანამ გამოიწვია დოზადამოკიდებული ბიფაზური რეაქცია. 1943 წელს ისევ გერმანელმა მეცნიერებმა (C.M. Southam და J. Ehrlich, 1943) ჟურნალ „ფიტოპათოლოგია“-ში ტერმინი – ჰორმონისი (hórmēsis), რაც სტიმულირებას, გამოფხიზლებას ნიშნავს ძველ ბერძნულში „hormáein“ (მოძრაობაში მოყვანა, ბიძგის მიცემა), პირველად გამოიყენეს, ხოლო შემდგომ, სამწუხაროდ, ორგანიზმის ეს თვისება და ტერმინიც კი მივიწყებულ იქნა. ჰორმონის ფენომენის აღმოცენება უშუალო კავშირშია ოქსიდაციურ სტრესთან. ალბათ, რთულია მოინახოს რომელიმე პათოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც თან არ სდევს, ან რომლის განვითარებაშიც ეს მოვლენა არ იყოს ჩართული - ნეიროდეგენერაციული დარღვევები, სიმსივნური დაავადებები, იშემიური კასკადის განვითარება, პარკინსონის და ალცჰაიმერის დაავადებები და სხვა. [Ramalingam, Kim, 2012; Nunomura et al., 2005; Halliwell, Barry, 2007; Valko et al., 2007; Mitagvaria et al., 2015].

თავისი არსით ოქსიდაციური სტრესი უკავშირდება თავისუფალი რადიკალების მასიურ წარმოქმნას. ამ პროცესის ყველა შესაძლო გამშვები მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი არ არის, თუმცა ზოგიერთი მათგანი ცნობილია, მაგალითად, იმუნური სისტემის აქტივაცია ინფექციების წინააღმდეგ, როდესაც

მიკროორგანიზმების მოსასპობად საქმეში ერთვება ფაგოციტებიდან „გამოსროლილი“ წყალბადის ზეჟანგი - ძლიერი ოქსიდანტი. ცნობილია, რომ ოქსიდაციური სტრესისადმი რეზისტენტობის მატება ასოცირდება სიცოცხლის ხანგრძლივობასთან [Larsen, 1993].

თავისუფალრადიკალური ჟანგვა – უჯრედის ნორმალური ცხოველქმედების აუცილებელ სტადიას და ამავე დროს, მისი დაზიანების უნივერსალურ მექანიზმს წარმოადგენს. ორგანიზმის ნებისმიერ უჯრედში მიმდინარე დაშლისა და სინთეზის ბიოქიმიურ პროცესებს შორის განუწყვეტლივ ხორციელდება ამა თუ იმ ქიმიური ჯგუფის ჟანგვის ან/და აღდგენის რეაქციები, რომელთა განმავლობაში ზოგიერთი ნაერთი ბოლომდე ვერ იჟანგება, ან აღდგება. სწორედ, მათ გააჩნიათ ყველაზე მძლავრი რეაქტიული თვისებები, რადგან ატომის მოლეკულის გარე ორბიტაზე რჩებათ გაუწყვილებელი ელექტრონი და ინერტულ ნივთიერებებთან ურთიერთქმედებისას ართმევენ რა გარე ორბიტის ელექტრონს, ამ ნეიტრალურ ნაერთებს გარდაქმნიან რადიკალური ბუნების წარმონაქმნებად. ორგანიზმის დახურულ სისტემაში, თუ არ იქნება ჩართული ანტირადიკალური მექანიზმები, პროცესი მიიღებს ზვავისებურ ხასიათს და დამთავრდება უჯრედული შენების სრული განადგურებით.

წლების განმავლობაში თავისუფალ რადიკალებს განიხილავდნენ, როგორც ზიანის აუცილებლად მომტან ფაქტორს, რომელიც აღმოცენდა და ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც ორგანიზმების უმეტესობა სიცოცხლის აერობულ ფორმაზე გადავიდა. ამასთან ერთად, უკვე დაგროვდა გარკვეული ინფორმაცია თავისუფალი რადიკალებით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის სხვაგვარ ეფექტებზეც. მაგალითად, ორგანიზმში შეჭრილი ინფექციის საპასუხოდ იმუნური სისტემის გააქტიურება, მიკროორგანიზმების მოსპობის მიზნით ფაგოციტებიდან იწვევს ძლიერი ოქსიდანტის - წყალბადის ზეჟანგის „გამოსროლას“. ასევე დადგენილია, რომ ოქსიდაციური

სტრესისადმი რეზისტენტობაზე დამოკიდებულია სიცოცხლის ხანგრძლივობა და ისიც, რომ ტოქსინების ან სხვა ნებისმიერი სტრესოგენური ფაქტორის დაბალი დოზა არამარტო არ აზიანებს ორგანიზმს, არამედ, როგორც უკვე ითქვა, ააქტიურებს ჰორმონის მექანიზმს, რაც თავის მხრივ, ადაპტაციური სტრეს-რეაქციის მეშვეობით აყალიბებს ორგანიზმის მდგრადობას მასზე მოქმედი სტრესული აგენტის მაღალი დოზებისადმი.

ნაჩვენებია, რომ ოქსიდაციური სტრესის და შესაბამისად, თავისუფალი რადიკალების ცოცხალ სისტემებზე სხვადასხვა ექსტრემალური ფაქტორების მოქმედების უნივერსალური შედეგი და ამავე დროს ის გამშვები მექანიზმია, რომელიც იწვევს უჯრედის და მთლიანად ორგანიზმის საპასუხო რეაქციას. თავისუფალი რადიკალების ჭარბი დაგროვების დამანგრეველი ეფექტი ვლინდება ორგანიზმის დაბერების პროცესის დაჩქარებაში, ანთებითი პროცესების პროვოცირებაში, სისხლის მიმოქცევის სისტემის ფუნქციონირების დარღვევაში, ნერვული და იმუნური სისტემების აშლილობაში, სიმსივნური დაავადების განვითარებაში და ა.შ.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** ჩვენი კვლევის მიზანი იყო თეთრ ვირთაგვებზე ორი განსხვავებული ზემოქმედების (მთელი სხეულის ჰიპერთერმიით და წყალბადის ზეჟანგის ხსნარების) გამოყენებით შეგვესწავლა გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის გავლენა ცხოველთა ქცევაზე, ამ დროს ჰორმონის ფენომენის აღმოცენების შესაძლებლობა და მისი როლი ცხოველთა ქცევის ცვლილებებში.

ამ ორი მეთოდის შერჩევა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ, როგორც ჰიპერთერმიას, ისე წყალბადის ზეჟანგს ორგანიზმი მრავალი პათოლოგიური პროცესის დროს იყენებს დაცვითი რეაქციების განვითარებისას. ამასთან ერთად, ჰიპერთერმული ზემოქმედება ფართოდ გამოიყენება ონკოლოგიურ კლინიკაში,



როგორც დამოუკიდებლად, ისე (უმეტესწილად) სხივურ და ქიმიოთერაპიასთან ერთად კომბინაციაში.

**ყოველივე აღნიშნულის მისაღწევად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შემდეგი ამოცანების ექსპერიმენტული გადაწყვეტა:**

1. თეთრი ვირთაგვების ცალკეულ ჯგუფებზე შესწავლილ იქნა მთელი სხეულის ჰიპერთერმიის (6 კვირის განმავლობაში) 5 საათიანი დღეგამოშვებითი ექსპოზიციით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესის დოზა-ეფექტზე დამოკიდებული ცხოველთა ჰორმონული ქცევა და მისი დარღვევის შესწავლა.

2. თეთრი ვირთაგვების ცალკეულ ჯგუფებზე შესწავლილ იქნა 6 კვირის განმავლობაში 0.05%, 0.1% წყალბადის ზეჟანგის ხსნარის (სასმელი წყლის მაგივრად) ორგანიზმში შეყვანით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესის დოზა-ეფექტზე დამოკიდებული ცხოველთა ჰორმონული ქცევა და მისი დარღვევა ხსნარის კონცენტრაციის ცვლილებებისას.

პირველ პუნქტში მითითებული ცდები ჩატარდა არა ინტაქტურ ცხოველთა ჯგუფებზე, არამედ:

1. აზოტის ოქსიდის სინთაზას წინასწარი, ნიტრო-L-არგინინ-მეთილის ეთერით არასელექციური ინჰიბირების ფონზე;

2. აზოტის ოქსიდის ინდუციბელური სინთაზას წინასწარი, ამინოგუანიდინით სელექციური ინჰიბირების ფონზე;

3. აზოტის ოქსიდის სინთაზას წინასწარი, ნიტრო-L-არგინინ-მეთილის ეთერით არასელექციური ინჰიბირების და აზოტის ოქსიდის დონორის L-არგინინის შეყვანის კომბინირებული მოქმედების ფონზე;

ცდების ყველა აღნიშნულ სერიაში ჩატარდა სისხლში თავისუფალი რადიკალების რაოდენობრივი ანალიზი და დადგინდა ორგანიზმში არსებული ოქსიდანტური და ანტიოქსიდანტური სტატუსები.

ქცევითი ექსპერიმენტების დასრულების შემდეგ სხვადასხვა ჯგუფებში მიღებული შედეგების მიხედვით ჩატარდა სისხლის რეოლოგიური თვისებების ანალიზიც.

### **მეცნიერული კვლევის სიახლე:**

ჩვენმა მიდგომამ (ჰორმონების ფენომენის გამოყენებით) მოგვცა საშუალება დაგვედგინა მთელი სხეულის ჰიპერთერმიის გამოყენების ოპტიმალური ტემპერატურული და დროითი რეჟიმები. ამასთან ერთად ჩვენ ჰორმონების ფენომენის, როგორც აღმოცენების, ისე მისი დათრგუნვის ფონზე, შევისწავლეთ ცვლილებები სისხლის რეოლოგიურ თვისებებში, რომლებიც განაპირობებენ მის დენადობას. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჰიპერთერმიის პირობებში ტემპერატურაზე და მისი მოქმედების ხანგრძლივობაზე დამოკიდებულებით შეიძლება ქსოვილში განვითარდეს როგორც ჰიპერემია, ისე იშემია, აქედან გამომდინარე ყველა შესაბამისი შედეგებით.

### **ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება**

ჰიპერთერმია დღეისათვის წარმოადგენს ონკოლოგიური მკურნალობის პრაქტიკულად მეოთხე მოდალობას, რომელიც ფართოდ გამოიყენება ევროპის და ამერიკის განვითარებული ქვეყნების კლინიკებში. ამავე დროს ნაკლები ყურადღება ექცევა მის მიერ გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის გვერდით მოვლენებს. სწორედ ეს არის ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის პრაქტიკული ასპექტები, რომელთა შედეგებმა შეიძლება დაუყოვნებელი გამოყენება ჰქონდეს ონკოლოგიურ კლინიკებში. პირველ რიგში ეს ეხება მეტასტაზირებულ შემთხვევებს, როდესაც საჭიროა მთელი სხეულის ჰიპერთერმიის გამოყენება.

### **ნაშრომის სტრუქტურა:**

ნაშრომი წარმოდგენილია 102 გვერდზე და მოიცავს შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას, კვლევის მეთოდებს, მიღებულ მონაცემებს, მათ განხილვას და ასევე გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს. ნაშრომი ილუსტრირებულია ექსპერიმენტებში მიღებული მონაცემების დიაგრამებით (სურათებით).

## თავი I. ლიტერატურული მიმოხილვა

არსებობს ცნობები აიურვედულ წყაროებში (ძვ. წ. X-VIII სს.), რომლებიც გვიჩვენებს ცხელი ქვების გამოყენებას მტკივნეულ ადგილზე გამათბობლების სახით. ჰიპოკრატეს წინამორბედი ძველი ბერძენი ექიმი და ფილოსოფოსი პარმენიდისი (ძვ. წ. 540-480) აცხადებდა: „მომეცი საშუალება ორგანიზმის ტემპერატურის ხელოვნური აწევისა და ყველა დაავადებას განვკურნავ“.

თერმული ფაქტორის სამედიცინო შესაძლებლობები გამოიყენება უძველესი დროიდან. ჰიპერთერმიის სიძველის დადასტურებას, როგორც წესი, იძლევა ჰიპოკრატეს ცნობილი მაქსიმა (460–356 წწ. ძვ. წ.) „რასაც მედიკამენტები არ კურნავენ, კურნავს რკინა, თუ რკინა არ კურნავს, კურნავს ცეცხლი და თუკი ცეცხლი ვერ კურნავს. ესე იგი განუკურნებლად უნდა ჩაითვალოს“.

ოქსიდაციური სტრესის მექანიზმების ინტენსიური შესწავლა 60-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო და, ჩვენს დროში, ამ პრობლემის აქტუალობა და სიმძიმე არა მხოლოდ არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა. ამ დროისთვის არსებობს რამდენიმე პათოლოგიური მდგომარეობა, სადაც არ არის ნაჩვენები ჟანგვითი სტრესის მათთან ერთდროული განვითარება. ჟანგვითი სტრესის მრავალმხრივი პრობლემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად თვლიან ქსოვილის სპეციფიკური მექანიზმების შესწავლას [Fridovich, I., 1995].

ცნობილია, რომ სხვადასხვა ორგანოები და ქსოვილები აგენტთა მოქმედებაზე სხვადასხვა ხარისხითაა მგრძობიარე, რომლებიც იწვევენ ჟანგვით სტრესს და აჩვენებენ განსხვავებულ სტაბილურობას ამ პათოლოგიური მდგომარეობის პროცესში [A. A. Вулганов, 1988; Y. Okatani, A. Wakatsuki, C. Kaneda, 2000]. რიგი მკვლევარების აზრით, ეს განპირობებულია ანტიოქსიდანტური ფერმენტების გამოხატვის სხვადასხვა დონით და სხვადასხვა ქსოვილების მეტაბოლიზმის მახასიათებლებით [C. J. Parsa, A.

Matsumoto, J. Kim et al., 2003, G. Minotti, P. Menna, E. SalvatoreUi et al., 2004].

სხვადასხვა ტიპის უჯრედების მეტაბოლური მახასიათებლები უკავშირდება ჟანგვითი სტრესის წინააღმდეგობას უჯრედში დაჟანგვის შემცირების პოტენციალით (რედოქს პოტენციალი), რომელიც წარმოადგენს უჯრედის ყველა ბიოქიმიური რეაქციის წარმოებულს და გამოითვლება შემცირებული გლუტათიონის კონცენტრაციის თანაფარდობით.

ისეთი პროცესები, როგორცაა პროლიფერაცია, დაყოფა და უჯრედების დაპროგრამებული სიკვდილი, ასევე დამოკიდებულია უჯრედშიდა რედოქსის პოტენციალის მნიშვნელობაზე და განსაკუთრებით, შემცირებული გლუტათიონის კონცენტრაციაზე [Sommerburg, T. Grune, H. Hampl et al., 1998]. თუ ჟანგვითი სტრესის ინტენსიური განვითარება იწვევს ნეკროზს, მაშინ მისი ნელი განვითარება იწვევს აპოპტოზის მექანიზმების ჩართვას. ლიტერატურა შეიცავს უამრავ ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემს სხვადასხვა ქსოვილებსა და უჯრედთა ტიპებში ანტიდოქსიდანტური ფერმენტების აქტივობის შემცირების პოტენციალის და ლიპიდური პეროქსიდაციის მაჩვენებლებს შორის [Вулганов, А. А., 1988, Sugden D., 1994].

მეცხრამეტე საუკუნეში ჰიპერთერმია გამოიყენებოდა, როგორც საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის მეთოდი, რაც ფაქტობრივად, მხოლოდ ექსპერიმენტებით შემოიფარგლებოდა [Westermarck F. 1898, Gottschalk S. 1898, Doyen E. 1910]. 1905 წლის შემდეგ ჰიპერთერმიამ ჰპოვა განვითარება ფონ ზეინეკის დიათერმიის გამოგონებით [von Zeynek RR. 1908], თერმოთერაპიის პირველი მასობრივი ელექტრომაგნიტური ტექნოლოგია [Nagelschmidt F. 1911], რომლის კლინიკური გამოყენებაც მთლიანად შემუშავდა 1920-იანი წლების დასაწყისში [Cumberbatch EP. 1921, Westermarck F. 1898, Gottschalk S. 1898, Doyen E. 1910].

1917 წელს ავსტრიელმა ფსიქიატრმა ჯულიუს ვაგნერ ფონ ჟაურგმა აღმოაჩინა მალარიის ცხელებით თერაპიის მეთოდი,

რომელიც პარალიტიკური დემენციის სამკურნალო საშუალებაა (GPI) [Whitrow M. 1990].

"ფებრილური თერაპია", ანუ სხეულის ბუნებრივი პიროგენული რეაქციის სტიმულირება ("პიროთერაპია"), ფართოდ გავრცელდა 1930-იან წლებამდე. ცხელება, როგორც სხეულის ხანგრძლივი (დღე-კვირა) და რთული რეაქცია, იმუნური სისტემის სპეციფიკური და არასპეციფიკური სტიმულაციის ჩათვლით, როგორც წამყვანი მექანიზმი, არ არის საკმარისი ჰიპერთერმიისთვის.

1935 წლისთვის გამოქვეყნდა 100-ზე მეტი სტატია სხვადასხვა დაავადებებში ჰიპერთერმიის გამოყენების შესახებ *FEVER EXPERTS GATHER*, მათ შორის კიბოს მკურნალობაზეც [Warren S.L. 1935, Doub H.P. 1935]. 1937 წელს ნიუ იორკში ჩატარდა ჰიპერთერმიის პირველი საერთაშორისო კონფერენცია "თერაპია ცხელებით".

1943 წლიდან პენიცილინის სამრეწველო წარმოების შედეგად, ქრონიკული ინფექციური დაავადებების მკურნალობაში ჰიპერთერმიის პოტენციური ღირებულების ძირითადი არეალი შემცირდა.

მიუხედავად იმისა, რომ ონკოლოგია ჰიპერთერმიის გამოყენების მნიშვნელოვან სფეროდ რჩებოდა, ონკოლოგიური საზოგადოების დამოკიდებულება მეთოდის მიმართ ძირითადად სკეპტიკური იყო.

1949 წელს ცნობილმა გერმანელმა ქირურგმა ბაუერმა თავის წიგნში "კიბოს პრობლემა" აღნიშნა, რომ **"არსებული მეთოდები ძლიერ მოქმედებს პაციენტებზე, მაგრამ არა მათ სიმსივნეებზე"**. 1960-იან წლებამდე კლინიკურ ონკოლოგიაში ჰიპერთერმიის გამოყენების შემთხვევები ერთჯერადი იყო. [Delario A.J. 1935, Shoulders HS, Turner EL, Scott L.D., Quinn W.P., 1941, Shoulders H.S., 1942, Korb H. 1948]. ასევე ერთეული კვლევები იქნა ჩატარებული [Crile G. Jr., 1963], რომელთაც კლინიკური გამოყენება ვერ ჰპოვეს.

ონკოლოგიური ჰიპერთერმიის განვითარების ამჟამინდელი ეტაპი სათავეს იღებს მანფრედ ფონ არდენის ნაშრომიდან მეოცე საუკუნის 60-იან წლებში. ეს იყო განცხადება იმის შესახებ, რომ აღმოაჩინეს „პრაქტიკულად უსასრულო შერჩევითი უბანი ავთვისებიან და ჯანმრთელ უჯრედებს შორის კიბოს მკურნალობის დროს უკიდურესი ჰიპერთერმიით“ [von Ardenne M, Krüger W. 1986]. დადგენილია, რომ ჰიპერთერმული ზემოქმედება ასოცირდება უჯრედებში ოქსიდაციური სტრესის განვითარებასთან [Finkel, Holbrook, 2000].

ჰიპერთერმიის მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ, თუ როგორ რეაგირებს სხეული მკურნალობაზე. ამ დროს გაუმჯობესებულია იმუნური პასუხი, სხეული კი ააქტიურებს უჯრედებს, რომლებიც აძლიერებენ იმუნოთერაპიას. არსებობს კლინიკური კვლევები, რომლებიც ავლენენ ჰიპერთერმიის და იმუნოთერაპიის ეფექტებს [Dan Brennan, 2021].

ჰიპერთერმიის მკურნალობის ეფექტურობა უკავშირდება მკურნალობის დროს მიღწეულ ტემპერატურას, ასევე მკურნალობის ხანგრძლივობას და უჯრედისა და ქსოვილის მახასიათებლებს. [van der Zee J. 2002; Hildebrandt B. 2002]. სასურველი ტემპერატურის მისაღწევად და მისი სტაბილიზაციისთვის მიმდინარეობს მისი მონიტორინგი, რათა გაკონტროლდეს ჰიპერთერმიისას მიღებული ტემპერატურა სიმსივნესა და მიმდებარე ქსოვილზე მთელი მკურნალობის განმავლობაში [Wust P., 2002; Falk M.H., 2001, Kapp D.S., 2000]. ადგილობრივი ანესთეზიის გამოყენებით, ექიმი ჩადის სამკურნალო ზონაში მცირე ზომის ნემსებით ან პატარა თერმომეტრებით, რათა დააკვირდეს ტემპერატურის ვიზუალიზაციის ტექნიკას, როგორცაა CT (კომპიუტერული ტომოგრაფია), რომელიც შეიძლება აგრეთვე იქნას გამოყენებული [Falk MH. 2001].

ჰიპერთერმიის კლინიკური გამოყენება, როგორც მრავალმოდალური მკურნალობის ნაწილი, პოპულარობას იძენს

ბოლო წლებში. რადიოთერაპიის, ისევე როგორც ქიმიოთერაპიის ეფექტურობა შეიძლება არსებითად გაიზარდოს ჰიპერთერმიით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სიმსივნის კონტროლი და გახანგრძლივდება დაავადებისგან თავისუფალი მდგომარეობა [Datta N.R., Ordonez S.G., et al. 2015]. უფრო მეტიც, ჰიპერთერმია ამას აკეთებს რადიაციის გაზრდის ან ქიმიასთან დაკავშირებული გვერდითი ეფექტების გარეშე. კლინიკურ ჰიპერთერმიაში მნიშვნელოვანი საკითხია მისი დოზა-ეფექტის კავშირის დადგენა. Unsoeld-ის და სხვ. კვლევებმა აჩვენა, რომ არაინვაზიური MR-თერმომეტრიით გაზომილი სიმსივნის ტემპერატურა მნიშვნელოვნად მაღალი იყო მაღალი რისკის რბილი ქსოვილების სარკომებისთვის, რომლებიც აჩვენებდნენ პათოლოგიურ პასუხს რეზექციის ნიმუშში პრეოპერაციული რადიო(ქიმიო)თერაპიისა და ლოკორეგიონალური ჰიპერთერმიის მკურნალობის შემდეგ, ვიდრე სიმსივნეებში პათოლოგიური პასუხის გარეშე [Unsoeld M., Lamprecht U., et al. 2020].

ჰიპერთერმია გავლენას ახდენს უჯრედებსა და ქსოვილებზე სხვადასხვა გზით [Oei A.L., Kok H.P., Oei S.B. et al. 2020]. მას შეუძლია პირდაპირ შეცვალოს კომპონენტების ფიზიკური თვისებები და ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს უჯრედულ პასუხებზე [Crezee Johannes, Franken Nicolaas A. P., and Oei Arlene L. 2021]. ჰიპერთერმია გავლენას ახდენს მრავალ უჯრედშიდა პროცესებზე, მაგალითად, დნმ-ის აღდგენის გზებზე, ასევე სისტემურ იმუნურ პასუხებზე. გარდა ამისა, ჰიპერთერმიას შეუძლია კიბოს უჯრედების დამიზნება ჰიპოქსიურ და საკვებ ნივთიერებებს მოკლებული სიმსივნურ ადგილებში, სადაც მაიონებელი გამოსხივება და ქიმიოთერაპია ყველაზე ნაკლებად ეფექტურია. ჰიპერთერმიას ასევე შეუძლია შეცვალოს ისეთი ფაქტორები, რომლებიც აუცილებელია სიმსივნის გადარჩენისა და ზრდისთვის, როგორცაა მიკროგარემო, იმუნური რეაქციები, სისხლძარღვთა ფორმირება და ქანგბადის მიწოდება [Elming P.B., Soerensen B.S., et al 2019].

მიუხედავად იმისა, რომ ჰიპერთერმია ამჟამად აქტიუტად გამოიყენება კიბოს სამკურნალოდ ევროპის BioMed საავადმყოფოში (გერმანიაში ჰიპერთერმიის წამყვანი ცენტრი), შეერთებულ შტატებში (სინას მთა), რუსეთის ფედერაციაში, ნაკლები ყურადღება ექცევა მის მიერ გამოწვეული ჟანგვითი სტრესის გვერდით მოვლენებს. სწორედ ეს წარმოადგენს ჩვენი კვლევის პრაქტიკული ასპექტებს, რაც პირველ რიგში, ეხება მეტასტაზურ შემთხვევებს, როცა საჭიროა მთელი სხეულის ჰიპერთერმიის გამოყენება.

**თავი III. მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული  
ოქსიდაციური სტრესის ეფექტი ცხოველთა  
მეხსიერებაზე და სისხლის რეოლოგიურ თვისებებზე**

სხვადასხვა ტემპერატურის და ხანგრძლივობის ჰიპერთერმული ექსპოზიციის ჩატარებამდე ვირთაგვების ჯგუფი სწავლობდა მრავალსვლიან ლაბირინთში ოპტიმალური ტრაექტორიით უშეცდომოდ გავლას. დასწავლის პროცესი გრძელდებოდა ქცევის ავტომატიზირებულ განხორციელებამდე (მანამ, სანამ ცხოველი სასტარტო პლატფორმიდან ბუდე-ყუთამდე არ აითვისებდა უშეცდომო (შეცდომაში იგულისხმება გადახრა ოპტიმალური ტრაექტორიიდან) გავლას. ლაბირინთი შედგებოდა 30 სანტიმეტრამდე ამალელებული ორგანული მინისგან დამზადებული პლატფორმებისგან. (სურათი 1). მისი კონსტრუქცია (მოძრაობის განსხვავებული ტრაექტორიის შესაქმნელად და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, გადასწავლის ტესტის ჩატარებისთვის) იოლად ხდებოდა პლატფორმების გადაადგილებით. ქცევითი ცდების ჩატარებამდე ცხოველების შერჩეული ჯგუფი რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა ბუდე-ყუთში. ლაბირინთში მოძრაობის დაწყება და ბუდე-ყუთში გზის გაკვლევა არ იყო მოტივირებული საკვების ან სასმელი წყლის მიღებით, არამედ განპირობებული იყო მხოლოდ არაეთიოლოგიური პირობებიდან თავის დაღწევის მიზნით.

### **3.1. სისხლის სინჯების აღება მისი რეოლოგიური თვისებების და თავისუფალი რადიკალების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის**

სისხლის ფარდობითი სიბლანტის და ერითროციტების აგრეგაციის განსაზღვრის მიზნით ცდების ამ სერიის ჯგუფების რამოდენიმე ვირთაგვიდან ავიღეთ სისხლის სინჯები. სინჯები საჭირო იყო აგრეთვე თავისუფალი რადიკალების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის, რისთვისაც გამოყენებულ იქნა იტალიური ხელსაწყო „FRAS-5“ (ფირმა H&D).

ლაბირინთში დასწავლის პროცესის და ავტომატიზირებული ქცევის გამომუშავების დასრულების შემდეგ თითოეული ცხოველი

იღებდა მთელი სხეულის ჰიპერთერმულ ექსპოზიციას (მაგალითად 39°C ან სხვ.).

ცხოველთა მეხსიერებაზე მოცემული ტემპერატურით მთელი სხეულის ჰიპერთერმიის შესაძლო მოქმედების განსაზღვრის მიზნით, ჰიპერთერმული ექსპოზიციის მიღებიდან ერთი საათის შემდეგ ცხოველს ჩაუტარდა რეტესტირება მრავალსვლიან ლაბირინთში, რომელსაც იგი ჰიპერთერმულ ექსპოზიციამდე გადიოდა უშეცდომოთ და ავტომატიზირებულად რამოდენიმე წამის განმავლობაში. რეტესტირებისას მოხდა დაშვებული შეცდომების რაოდენობის და მთელი ლაბირინთის გავლის დროის აღრიცხვა.

მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ჩატარებიდან მეორე დღეს, ლაბირინთული ტესტების დასრულების შემდეგ რამდენიმე ცხოველიდან კვლავ ავიღეთ სისხლის სინჯი (სისხლის რეოლოგიური მაჩვენებლების და თავისუფალი რადიკალების განსაზღვრის მიზნით). ამით დავადგენეთ მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული სისხლის რეოლოგიური თვისებების შესაძლო ცვლილებების არსებობა და ოქსიდაციურ-ანტიოქსიდაციური სტატუსი.

ჩამოთვლილი პროცედურების ციკლი განმეორდა ჰიპერთერმული ზემოქმედების ყოველი ტემპერატურული ზემოქმედების რეჟიმის პირობებში.

მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის ეფექტი ცხოველთა დასწავლის პროცესზე (ცდების ამ სერიაში სისხლის რეოლოგიური თვისებების და თავისუფალი რადიკალების ანალიზი არ ჩატარდა, რადგან ცდების წინა სერიაში იგივე ტემპერატურულ რეჟიმებში ეს მონაცემები უკვე დადგენილ იქნა).

განსხვავებით პირველი სერიის ცდებიდან ცხოველებმა ამ სერიაში ჯერ მიიღეს ჰიპერთერმული ზემოქმედება და მეორე დღიდან დაწყებული, გაიარეს ლაბირინთული ტესტები მისი ოპტიმალური ტრაექტორიით გავლის დასწავლაზე. ამ სერიაშიც

გამოყენებულ იქნა მთელი სხეული ჰიპერთერმიის ყველა ტემპერატურული რეჟიმი, როგორც ექსპოზიციის ხანგრძლივობით, ისე ტემპერატურის დონეებით.

პირველი და მეორე სერიის ცდებში მიღებული შედეგების შედარებითა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ეფექტი ცხოველებში **დასწავლის** პროცესის მიმდინარეობაზე.

კვლევის შემდგომი სტრატეგია იყო აზოტის ოქსიდის და სისხლის რეოლოგიური თვისებების როლის გარკვევა ცხოველთა ქცევაში მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეულ ცვლილებებში. ამ მიზნით ყველა ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტულ პირობებში (იგივე ტემპერატურული რეჟიმებით) ცდები ჩატარდა შემდეგი ნაწილობრივი ცვლილებების ფონზე (ანუ ცდების დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე ცხოველებზე მოხდა შემდეგი ზემოქმედებები:

1. აზოტის ოქსიდის სინთაზას (NOS) არასელექციური ინჰიბირება, გამოწვეული ნიტრო-L-არგინინ მეთილის ეთერით (L-NAME).
2. ინდუციბელური აზოტის ოქსიდის სინთაზას (iNOS) სელექციური ინჰიბირება ამინოგუანიდინით.
3. აზოტის ოქსიდის სინთაზას წინასწარი, ნიტრო-L-არგინინ-მეთილის ეთერით არასელექციური ინჰიბირების და აზოტის ოქსიდის დონორის L-არგინინის კომბინირებული მოქმედებას.
4. წყალბადის პეროქსიდით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესით გამოწვეული ქცევითი ცვლილებების კვლევა.

**ცდები ამ სერიაშიც ჩატარდა** თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვების საკონტოლო (16 ცხოველი) და 2 ექსპერიმენტულ ჯგუფზე: შესაბამისად (16 და 16).

წყალბადის ზეჟანგით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის ექსპერიმენტული მოდელის სახით ჩვენ გამოვიყენეთ მისი 0.05 % და 0.1% წყალხსნარის მიცემას ცხოველებისადმი სასმელი წყლის მაგივრად. ამ ხსნარებს ცხოველების ორი ჯგუფი (პირველი - 0.05%, ხოლო მეორე - 0.1% ხსნარი) იღებდა 30 დღის განმავლობაში

ქცევითი ცდების დაწყებამდე და განაგრძობდა მიღებას ცდების დასრულებამდე.

ამ შემთხვევაშიც ქცევითი ცდები ჩატარდა მრავალსულიანი ლაბირინთის გამოყენებით. აქაც აგრეთვე აღირიცხა სისხლის რეოლოგიური თვისებები და თავისუფალი რადიკალების რაოდენობა - გამოიწვია თუ არა წყალბადის ზეჟანგის მიღებამ ამ მაჩვენებლების რაიმე სახის ცვლილება.

### **3.2. სისხლის რეოლოგიური თვისებების განსაზღვრა**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოქსიდაციური სტრესის ეფექტის განსაზღვრისთვის აუცილებელია სისხლის რეოლოგიური თვისებების და თავისუფალი რადიკალების ანალიზის ჩატარება, რაშიც მნიშვნელოვანია ერთროციტების აგრეგაციის ინდექსი. ეს ინდექსი წარმოადგენს აგრეგირებული ერთროციტების მიერ დაკავებული ფართის (სისხლის სინჯის მიკროსკოპის მხედველობის არეში) შეფარდებას ერთროციტებით დაკავებულ მთელ არესთან. სისხლის სინჯი საჭიროებს ცენტრიფუგირებას და დაახლოებით მისი 0.1 მლ თომას პიპეტში (წინასწარ გამოვლებული 5%-იანი ნატრიუმის ციტრატის ხსნარით) უნდა გაიხსნას საკუთარ პლაზმაში შეფარდებით 1:200. გახსნილი სისხლი თავსდება მინის კამერაში, რომელსაც თან ახლავს ანალიზატორი Texture Analysis System (TAS-plus, "Leitz, Germany), რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული სისტემით და სპეციალური პროგრამით ახდენს აგრეგირებული და არააგრეგირებული ერთროციტების შეფარდების ინდექსის გათვლას.

**სისხლის პლაზმის სიბლანტე** იზომება კაპილარული ვისკოზიმეტრით. კაპილარის დაიმეტრი არის 1.8მმ. პლაზმის გადაადგილება განპირობებულია გრავიტაციის ძალით (დამატებითი ძალის გამოყენების გარეშე). სიბლანტის გაზომვისათვის ცენტრიფუგირებაში ჩვენ განვსაზღვრეთ კალიბრაციის ფაქტორი. სიბლანტის გათვლა ხდება პლაზმის კაპილარში გადაადგილების დროის ნამრავლით კალიბრაციის ფაქტორზე.

**სისტემური ჰემატოკრიტის განსაზღვრა** ხდება სისხლის სინჯის ცენტრიფუგირებით სტანდარტული ჰემატოკრიტის ცენტრიფუგის საშუალებით (8000ბრ. 10 წუთი).

**თავისუფალი რადიკალების** რაოდენობის და ორგანიზმის ოქსიდანტურ-ანტიოქსიდანტური სტატუსების განსაზღვრა ხდება, როგორც უკვე აღინიშნა, ხელსაწყო FRAS-5-ის მეშვეობით (იტალია, ფირმა H&D).

### **სტატისტიკური ანალიზი**

ყველა მონაცემი წარმოდგენილია როგორც საშუალოს  $\pm$  სტანდარტული ცდომილება. სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა one-way ANOVA ტესტის მიხედვით. სარწმუნოების ინდექსი  $p < 0.05$ -ზე მიჩნეულია, როგორც სტატისტიკურად სარწმუნო მონაცემი.

**თავი IV. წყალბადის პეროქსიდით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესით გამოწვეული ქცევითი ცლილებების კვლევა**



სხვადასხვა ტემპერატურის და ხანგრძლივობის ჰიპერთერმული ექსპოზიციის ჩატარებამდე ვირთაგვების ჯგუფი სწავლობდა მრავალსვლიან ლაბირინთში ოპტიმალური ტრაექტორიით უშეცდომოდ გავლას. დასწავლის პროცესი გრძელდებოდა ქცევის ავტომატიზირებულ განხორციელებამდე (მანამ, სანამ ცხოველი სასტარტო პლატფორმიდან ბუდე-ყუთამდე არ აითვისებდა უშეცდომო (შეცდომაში იგულისხმება გადახრა ოპტიმალური ტრაექტორიიდან) გავლას. ლაბირინთი, როგორც უკვე აღინიშნა, შედგებოდა 30 სანტიმეტრამდე ამალღებული ორგანული მინისგან დამზადებული პლატფორმებისგან. მისი კონსტრუქცია (მოძრაობის განსხვავებული ტრაექტორიის შესაქმნელად და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, გადასწავლის ტესტის ჩატარებისთვის) იოლად ხდება პლატფორმების გადაადგილებით. ქცევითი ცდების ჩატარებამდე ცხოველების შერჩეული ჯგუფი რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა ბუდე-ყუთში. ლაბირინთში მოძრაობის დაწყება და ბუდე-ყუთში გზის გაკვლევა არ იყო მოტივირებული საკვების ან სასმელი წყლის მიღებით, არამედ განპირობებული იყო მხოლოდ არაეთიოლოგიური პირობებიდან თავის დაღწევის მიზნით.

სისხლის რეოლოგიური თვისებების (სისხლის შეფარდებითი სიბლანტე და ერითროციტების აგრეგაცია) განსაზღვრის მიზნით ცდების ამ სერიის ცხოველთა ჯგუფებიდან, რამოდენიმე ვირთაგვადან ავიღეთ სისხლის სინჯები. სინჯები საჭირო იყო აგრეთვე თავისუფალი რადიკალების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის, რისთვისაც ამ შემთხვევაშიც გამოყენებული იქნა იტალიური ხელსაწყო „FRAS-5“ (ფირმა H&D).

ლაბირინთში დასწავლის პროცესის და ავტომატიზირებული ქცევის გამომუშავების დასრულების შემდეგ ყოველმა ცხოველმა მიიღო მთელი სხეულის ჰიპერთერმული ექსპოზიცია (მაგალითად 38°C, ან 39°C ან სხვ.).

ცხოველთა მეხსიერებაზე მოცემული ტემპერატურით მთელი სხეულის ჰიპერთერმიის შესაძლო მოქმედების

განსაზღვრის მიზნით, ჰიპერთერმული ექსპოზიციის მიღებიდან ერთი საათის შემდეგ ცხოველს ჩაუტარდა რეტესტირება მრავალსვლიან ლაბირინთში, რომელსაც იგი ჰიპერთერმულ ექსპოზიციამდე გადიოდა უშეცდომოდ და ავტომატიზირებულად რამოდენიმე წამის განმავლობაში. რეტესტირებისას ხდება დაშვებული შეცდომების რაოდენობის და მთელი ლაბირინთის გავლის დროის აღრიცხვა.

მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ჩატარებიდან მეორე დღეს, ლაბირინთული ტესტების დასრულების შემდეგ რამდენიმე ცხოველიდან კვლავ ავიღეთ სისხლის სინჯები (სისხლის რეოლოგიური მაჩვენებლების და თავისუფალი რადიკალების განსაზღვრის მიზნით). ამით დავადგინეთ მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული სისხლის რეოლოგიური თვისებების შესაძლო ცვლილებების არსებობა და ოქსიდაციურ-ანტიოქსიდაციურ სტატუსი.

ჩამოთვლილი პროცედურების ციკლი გამეორდა ჰიპერთერმული ზემოქმედების ყოველი ტემპერატურული ზემოქმედების რეჟიმის პირობებში (რა თქმა უნდა ცხოველთა სხვა ექსპერიმენტულ ჯგუფებზე).

თეთრი ვირთაგვების ჯგუფებზე ჩავატარეთ მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ეფექტით გამოწვეული ცვლილებების კვლევა, მეხსიერებაზე და ცხოველების დასწავლის უნარებზე, რომლებიც მოთავსებულები იყვნენ სპეციალურ ჰიპერთერმულ კამერაში, ორი საათის განმავლობაში, მოძრაობის შეზღუდვის გარეშე. გამოყენებულ იქნა ტემპერატურის სამი პარამეტრი (38, 39 და 40°C) და ექსპერიმენტების ჩატარების სტრატეგია არ იყო დამოკიდებული ტემპერატურაზე.

ცდების ჩატარების თანმიმდევრობა:

1. ვირთაგვების პირველი ჯგუფი სწავლობდა ოპტიმალური გზის განსაზღვრას მრავალგანშტოებიან ლაბირინთში. ჰიპერთერმული

ზემოქმედება და სწავლის პროცესი გაგრძელდა მათ ქცევაში ავტომატიზმის განვითარებამდე;

2. სისხლის სიბლანტე განისაზღვრა, ერთროციტების აგრეგაციისა და სხვა რეოლოგიური თვისებების დადგენის მიზნით, ამ სერიების ცხოველების 10% –ს ავუღეთ სისხლის ნიმუშები;

3. თითოეულ ცხოველს ჩაუტარდა ორსაათიანი ჰიპერთერმია;

4. მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ეფექტის დასადგენად, ცხოველებში ხელახლა ვიკვლიეთ ლაბირინთში ჰიპერთერმული ზემოქმედებიდან ორი საათის შემდეგ, ერთი დღის შემდეგ და ბოლოს, ჰიპერთერმიიდან ერთი კვირის შემდეგ (ფიქსირდება სრული გავლის დრო და ლაბირინთის გავლის დროს დაშვებული შეცდომების რაოდენობა).

5. მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ზემოქმედების შემდეგ მეორე დღეს ცხოველებიდან კიდევ ერთხელ იქნა აღებული სისხლის ნიმუშები (ლაბირინთში ტესტირების დასრულების შემდეგ) სისხლის ფარდობითი სიბლანტის, ერთროციტების აგრეგატობისა და სხვა რეოლოგიური პარამეტრების დასადგენად.

6. სისხლის პლაზმის სიბლანტე შევისწავლეთ კაპილარულ ვისკოზიმეტრის მეშვეობით. კაპილარის დიამეტრი დაახლოებით 1,8 მმ. პლაზმის ნიმუშების გადაადგილებას იწვევს მხოლოდ სიმძიმის ძალა, რომელიც დაკავშირებულია შესასწავლი პლაზმის დონეების სხვაობასთან (დამატებითი წნევის გამოყენების გარეშე).

7. მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის ეფექტი ცხოველთა დასწავლის პროცესზე (ცდების ამ სერიაში სისხლის რეოლოგიური თვისებების და თავისუფალი რადიკალების ანალიზი არ ჩატარებულა, რადგან ცდების წინა სერიაში იგივე ტემპერატურულ რეჟიმებში ეს მონაცემები უკვე დადგენილი იყო).

განსხვავებით პირველი სერიის ცდებიდან ცხოველებმა ამ სერიაში ჯერ მიიღეს ჰიპერთერმული ზემოქმედება და მეორე დღიდან დაწყებული, გაიარეს ლაბირინთული ტესტები მისი ოპტიმალური ტრაექტორიით გავლის დასწავლაზე. ამ სერიაშიც გამოყენებული

იყო მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ყველა ტემპერატურული რეჟიმი, როგორც ექსპოზიციის ხანგრძლივობით, ისე ტემპერატურის დონეებით.

პირველი და მეორე სერიის ცდებში მიღებული შედეგების შედარებითა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედინა მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ეფექტი ცხოველებში დასწავლის და მეხსიერების პროცესების მიმდინარეობაზე.

კვლევის შემდგომი სტრატეგია იყო აზოტის ოქსიდის და სისხლის რეოლოგიური თვისებების როლის გარკვევა ცხოველთა ქცევაში მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული ცვლილებებში. ამ მიზნით ყველა ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტულ პირობებში (იგივე ტემპერატურული რეჟიმებით) ცდები ჩატარდა შემდეგი ნაწილობრივი ცვლილებების ფონზე (ანუ ცდების დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე ცხოველებზე მოვახდინეთ შემდეგი ზემოქმედებები:

1. აზოტის ოქსიდის სინთაზას (NOS) არასელექციური ინჰიბირება, გამოწვეული ნიტრო-L-არგინინ მეთილის ეთერით (L-NAME).
2. ინდუციბელური აზოტის ოქსიდის სინთაზას (iNOS) სელექციური ინჰიბირება ამინოგუანიდინით.
3. აზოტის ოქსიდის სინთაზას წინასწარი, ნიტრო-L-არგინინ-მეთილის ეთერით არასელექციური ინჰიბირების და აზოტის ოქსიდის დონორის L-არგინინის კომბინირებული მოქმედება.

### **ცდების ჩატარების თანმიმდევრობა**

ჰიპერთერმიული ზემოქმედებისათვის ცხოველები 2 საათის განმავლობაში თავსდებოდა სპეციალურ ჰიპერთერმიულ კაბინაში (მასში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გარეშე).

ექსპერიმენტები ჩატარდა თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვების ჯგუფებზე (წონა 200-250 გრ.): პირველი ჯგუფი იყო საკონტროლო (ხელუხლებელი ცხოველები), მეორე ჯგუფმა 2 საათის განმავლობაში მიიღო ჰიპერთერმიული ზემოქმედება (WBH) 40°C ტემპერატურაზე. ცხოველთა მესამე ჯგუფმა მიიღო L/NAME-ს

ინტრაპეროტონული ინექცია (30 მგ/კგ) ჰიპერტენზიული ზემოქმედების დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე, ხოლო მეოთხე ჯგუფს გაუკეთდა L-არგინინის ინექცია (300 მგ/კგ) ასევე 15-20 წუთით ადრე ჰიპერტენზიამდე. ყველა ექსპერიმენტში, საჭირო პროცედურების დასრულებიდან ერთი საათის შემდეგ, თითოეული ცხოველისგან აღებული იქნა სისხლის ნიმუშები და ჩატარდა ანალიზი ოქსიდანტების და ანტიოქსიდანტების მოქმედების აქტივობაზე.

ეს გაზომვები ჩატარდა FRAS5 ანალიზატორის (H&D, პარმა, იტალია) გამოყენებით, რამაც თავისუფალი რადიკალების კონცენტრაციის რაოდენობრივი გაზომვის საშუალება მოგვცა.

როგორც მიღებულმა შედეგმა გვიჩვენა, ზომიერი ჰიპერტენზია (40°C) იწვევს თავისუფალი რადიკალების (dROM) კონცენტრაციის მნიშვნელოვან ზრდას, მაგრამ ეს ხდება ნორმის ფარგლებში, ამასთან ერთად, საიმედოდ იკლებს, (მაგრამ ასევე ნორმის ფარგლებშია), ანტიოქსიდანტური მოქმედების (PAT) საზღვრები. ეს საკმაოდ ლოგიკურია, ვინაიდან თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის ზრდამ, რაც ჰიპერტენზიის დროს ხდება, ბუნებრივად უნდა გამოიწვიოს ანტიოქსიდანტური აქტივობის დონის შემცირება. მაგრამ ამ კვლევის მთავარი საკითხია აზოტის ოქსიდის როლის გარკვევა dROM და PAT- ის ამ ცვლილებებში.

როგორც ზემოთ მოცემული მონაცემებიდან ჩანს, როდესაც ჩვენ ვზომავდით dROM-ს WBH პირობებში, როგორც L-NAME-თან, ასევე L-Arginine-თან ერთად (ეს არის არსებითად ორი აგენტი, რომელთა გავლენა NO-ს შემცველობაზე უნდა იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო) dROM-ის დონე პრაქტიკულად დარჩა WBH- ის მოქმედებებში მიღწეულ ფარგლებში. რაც შეეხება PAT-ს, მისი დონე საიმედოდ გაიზარდა სუფთა ჰიპერტენზიის პირობებში მიღებულ დონემდე, მაგრამ იგივე იყო, როდესაც ვიყენებდით კომბინაციას L-NAME ან L-Arginine-თან ერთად.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მთელი სხეულის ზომიერი ჰიპერთერმიის დროს აზოტის ოქსიდი არ მოქმედებს როგორც თავისუფალი რადიკალების კონცენტრაციის, ასევე ანტიოქსიდანტების აქტივობის (PAT). დონეებზე, მაგრამ ვიმეორებთ, რომ ეს ყველაფერი ხდება 40 გრადუსიანი ჰიპერთერმიის დროს.

#### **4.1. წყალბადის პეროქსიდით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესით გამოწვეული ქცევითი ცვლილებების კვლევის შედეგები**

ცდები ამ სერიაშიც ჩატარდა თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვების საკონტოლო (10 ცხოველი) და 2 ექსპერიმენტულ ჯგუფზე: შესაბამისად (10 და 10).

წყალბადის ზეჟანგით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის ექსპერიმენტული მოდელის სახით ჩვენ გამოვიყენეთ მისი 0.05% და 0.1% წყალხსნარის მიცემა ცხოველებისადმი სასმელი წყლის მაგივრად. ეს ხსნარები ცხოველების ორმა ჯგუფმა (პირველი - 0.05% ხსნარს, ხოლო მეორე - 0.1%) მიიღო 30 დღის განმავლობაში ქცევითი ცდების დაწყებამდე და განაგრძო მიღება ცდების დასრულებამდე.


ამ შემთხვევაშიც ქცევითი ცდები ჩატარდა მრავალსვლიანი ლაბირინთის გამოყენებით. აქაც აღვრიცხეთ **სისხლის რეოლოგიური თვისებების და თავისუფალი რადიკალების რაოდენობა** - რათა გაგვეჩვენა გამოიწვევდა თუ არა წყალბადის ზეჟანგის მიღება ამ მაჩვენებლების რაიმე სახის ცვლილებას.

სქემა 1-ში წარმოდგენილია ძირითადი შედეგები, მიღებული საკონტოლო და ექსპერიმენტული (0.05% H<sub>2</sub>O<sub>2</sub>) ჯგუფების ცხოველების ქცევის დაკვირვებისას მრავალსვლიან ლაბირინთში. წარმოდგენილ სქემაზე ნათლად არის დემონსტრირებული წყალბადის ზეჟანგით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესის ჰორმეზული ეფექტის ქცევითი გამოვლენა (რაც, როგორც უკავე აღინიშნა, ადრე იყო ნანახი მხოლოდ

დროზოფილებზე). როგორც ამ სქემაზე ვხედავთ, წყალბადის ზეჟანგით გამოწვეულმა ოქსიდაციურმა სტრესმა პრაქტიკულად ორჯერ (კონტროლთან შედარებით) დააჩქარა ცხოველების მიერ ლაბირინთის სრული გავლა. ამასთან ერთად საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ დაშვებული შეცდომების რაოდენობა არ განსხვავდებოდა საკონტროლო ჯგუფისგან და ამიტომ არ ჩავთვალეთ საჭიროდ შესაბამისი გრაფიკის წარმოდგენა. ანუ, წყალბადის ზეჟანგით ინდუცირებულმა ოქსიდაციურმა სტრესმა გამოიწვია ცხოველთა ლოკომოტორული აქტივობის თითქმის ორჯერადი აჩქარება (საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, რაც გარანტირებულად შეიძლება ჩავთვალოთ ჰორმეზული მექანიზმის ჩართვის ნათელ გამოვლენად. ასეთივე შედეგი ნანახი იქნა ადრე. როგორც უკვე აღინიშნა, დროზოფილების ქცევაში, როდესაც მათი ფრენის სიჩქარე დრამატულად აჩქარდა წყალბადის ზეჟანგით მოქმედების შედეგად.

ექსპერიმენტულ ცხოველთა მეორე ჯგუფში (16 ცხოველი), როგორც უკვე იყო ნახსენები, ჩვენ გამოვიყენეთ  $H_2O_2$  0.1% ხსნარი. მიღებული შედეგები წარმოდგენილია სქემა 2-ზე. როგორც ვხედავთ, ცხოველთა ამ ჯგუფში ცდების მეშვიდე დღიდან მოხდა ოქსიდაციური სტრესით გამოწვეული ჰორმეტული ეფექტის მკვეთრი დარღვევა და ასევე მკვეთრად შემცირდა მოტორული აქტივობა - განსხვავებით პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველებისაგან ტესტირების მე-9 დღეს ლაბირინთის სრული გავლის საშუალო დრო ამ ჯგუფში თითქმის რვაჯერ გაიზარდა.

## ლაბირინთში გავლის დრო




სქემა 1. ლაბორინტის გავლის საშუალო დრო (წუთებში) საკონტროლო და 0.05% H<sub>2</sub>O<sub>2</sub> ცხოველთა ჯგუფების მიერ. მონაცემები მიღებულია საშუალო  $\pm$  SD. \*P<0.05, საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.

მეთოდურ ნაწილში აღნიშნული იყო, რომ აგრეთვე ჩავატარეთ სისხლის ანალიზი ერითროციტების აგრეგაციის ინდექსის განსაზღვრის მიზნით (სქემა 3), ვინაიდან ამ ინდექსის ზრდამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გააუარესოს თავის ტვინის (და სხვა ორგანოების) სისხლით მომარაგება.

### ლაბორინტში გავლა H<sub>2</sub>O<sub>2</sub> (0,1%)






სქემა 2. ლაბირინთის გავლის სრული დროის ცვლილება ცხოველთა მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში, რომლებიც იღებდნენ წყალბადის ზეჟანგის 0.1%-იან წყალხსნარს. მონაცემები მიღებულია საშუალო  $\pm$  SD. \* $P < 0.05$ , საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.

როგორც სქემა 3-ზე მოტანილი მონაცემები მოწმობს (წარმოდგენილია აღნიშნული ინდექსის საშუალო მნიშვნელობები საკონტროლო და ორივე ექსპერიმენტულ ჯგუფში), წყალბადის ზეჟანგის ორივე გამოყენებული კონცენტრაციის წყალხსნარის მიღებამ უმნიშვნელოდ გაზარდა აგრეგაციის ინდექსის მნიშვნელობა: თუ საკონტროლო ჯგუფში ის შეადგენდა  $6.3 \pm 1.2$ , ექსპერიმენტულ ჯგუფში, რომელშიც ცხოველები სასმელი წყლის ნაცვლად 30 დღის განმავლობაში ქცევითი ცდების დაწყებამდე და ცდების განმავლობაში მომდევნო 10 დღის განმავლობაში იღებდნენ წყალბადის ზეჟანგის 0.05% ან 0.1% წყალხსნარს, ერითროციტების აგრეგაციის ინდექსი უმნიშვნელოდ გაიზარდა საკონტროლო მნიშვნელობასთან შედარებით და გახდა  $8.5 \pm 1.4$ , რამაც არ მოგვცა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა საკონტროლო მნიშვნელობასთან შედარებით. ასევე არ იქნა მიღებული სარწმუნო სხვაობა არც მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში, სადაც ინდექსის მნიშვნელობა იყო  $8.6 \pm 2.1$ . თავისთავად ცხადია, რომ არც თვით

ექსპერიმენტულ ჯგუფებს შორის ამ პარამეტრის მიხედვით ასევე არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა.



სქემა 3. ერითროციტების აგრეგაციის ინდექსი აღრიცხული საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში. მონაცემები მიღებულია საშუალო  $\pm$  SD. \* $P < 0.05$ , საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.

საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ არცერთ ექსპერიმენტულ პარადიგმაში არ იქნა გამოვლენილი რაიმე სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა ცხოველების მიერ ლაბირინთული ტესტის პირობებში დასწავლის პროცესში დაშვებული შეცდომების თვალთახედვით. მაგრამ პრინციპული სხვაობა, როგორც მოტანილი მონაცემები მოწმობს აღინიშნა მხოლოდ ცხოველების ლოკომოტორულ აქტივობაში, ანუ ლაბირინთის სრული გავლისთვის დახარჯული დროის მხრივ.

როგორც მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს:

1. წყალბადის ზეჟანგით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესი იწვევს ჰორმონის ფენომენის აღმოცენებას და ცხოველების ლოკომოტორული აქტივობის სტიმულირებას, როდესაც მისი კონცენტრაცია სასმელ წყალში არ აღემატება 0.05%-ს და მიღების ხანგრძლივობა კი - 1 თვეს. არ არის გამორიცხული, რომ თუ ცდები გაგრძელდებოდა მომდევნო დღეების

განმავლობაშიც ეს ეფექტი დაირღვეოდა, ვინაიდან წყალბადის ზეჟანგს ახასიათებს ორგანიზმში აკუმულაციის თვისება.

2. როგორც მოსალოდნელი იყო, წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაციის გაორმაგებამ სასმელ წყალში გამოიწვია ჰორმეზის ფენომენის ქცევითი გამოვლენის დარღვევა, რასაც ადგილი ჰქონდა მისი შეყვანიდან მხოლოდ ცდების მე-9 დღეს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მართლაც ჰორმეზის ფენომენის გამოვლენა იყო ცხოველთა ლოკომოტორული აქტივობის გაძლიერება და იმასაც, რომ წყალბადის ზეჟანგს ახასიათებს ორგანიზმში აკუმულაციის თვისება.

#### **4.2. ცხოველთა მეხსიერებისა და რეოლოგიური თვისებების კვლევა**


ამ კვლევის პირველი ეტაპის დასრულებამ საშუალება მოგვცა მიგველო სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს WBH დასწავლის პროცესზე მრავალსვლიან ლაბირინთში, სპეციალური ჰიპერთერმიის კაბინაში სამი განსხვავებული ტემპერატურის ზემოქმედების შემდეგ.

შემდგომი ექსპერიმენტის შედეგების ანალიზამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ თავის ტვინის ტემპერატურის ცვლილებების რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი ჰიპერთერმიული კაბინის (HC) შიგნით ტემპერატურის ცვლილებებთან დაკავშირებით.

კერძოდ, თავის ტვინის ტემპერატურის შესახებ - საქმე ისაა, რომ თუ ტემპერატურას ჰიპერთერმულ კაბინაში (HC) 44-45°C-მდე გავზრდით, ტვინის ქსოვილში ტემპერატურა არ იცვლება და შენარჩუნებულია დაახლოებით 36-36.5°C ინტერვალში, თუმცა HC-ში ტემპერატურის შემდგომი ზრდა იწვევს ტვინის ტემპერატურის ზრდას და როდესაც იგი მიაღწევს დაახლოებით 41°C დონეს - ცხოველი, როგორც წესი, იღუპება. ამრიგად, HC-ში 38, 39 და 40°C ზემოქმედების შემთხვევაში, ცხოველების ტვინის ტემპერატურა მკვეთრად არ იცვლება მაშინაც კი, თუ WBH ზემოქმედება რამდენიმე საათს გაგრძელდება.

ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში ჩვენ შევისწავლეთ ცხოველების დასწავლის უნარი ლაბირინთში 2 და 4 საათის განმავლობაში ჰიპერთერმული ზემოქმედების შემდეგ 38, 39 და 40°C ტემპერატურაზე. ყველაზე გამოხატული შედეგები მივიღეთ 40°C-ით 4 საათის ზემოქმედების შემთხვევაში: ლაბირინთის გავლის საერთო დრო (საკონტროლო ცხოველებთან შედარებით (სქემა 4) და 38 და 39°C ტემპერატურაზე გამოვლენილი) მნიშვნელოვნად შემცირდა.


საინტერესო შედეგები მიღებულია ზემოხსენებულ ექსპერიმენტულ პირობებში სისხლის რეოლოგიური თვისებების დადგენის შემდეგ. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ერთროციტების აგრეგაციის ინდექსი ტემპერატურაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული პარამეტრია. მისი ცვლილებები ხდება 4 საათის განმავლობაში WBH ზემოქმედების დროს სხვადასხვა ტემპერატურაზე (მაგალითად, 38°C მოცემულია სქემა 5).



სქემა 4. ლაბირინთის გავლის დრო საკონტროლო და WBH ექსპერიმენტული (4 საათი, 40°C) ჯგუფის ტესტი ცხოველებისთვის.


მონაცემები მიღებულია საშუალო  $\pm$  SD. \* $P < 0.05$ , საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ექსპოზიციის ხანგრძლივობის მიუხედავად, ჩვენ არ დაგვიფიქსირებია რაიმე მნიშვნელოვანი სტატისტიკური ცვლილება ერითროციტების აგრეგაციის ინდექსის დონეზე, გამოწვეული WBH ზემოქმედებით (38, 39 და 40°C). იგივე უნდა ითქვას WBH-ის მეხსიერების პროცესების ცვლილებებთან დაკავშირებით. ცხოველებს, რომლებმაც ლაბორინტში მიაღწიეს "ავტომატური" ქცევის დონეს, არ შეუცვლიათ ამგვარი ქცევა WBH (38, 39 ან 40°C) ზემოქმედების შემდეგ. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ყველაზე მკაფიო შედეგები მივიღეთ 40°C-ზე 4 საათის ზემოქმედების შემდეგ.



სქემა 5. დროითი დამოკიდებულების ცვლილებები ერითროციტების აგრეგაციის ინდექსში. მონაცემები მიღებულია საშუალო  $\pm$  SD. \* $P < 0.05$ , საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.

ლაბირინთის გავლის დრო (საკონტროლო ცხოველებთან და 38 და 39°C ტემპერატურაზე მყოფ ცხოველებთან შედარებით) მნიშვნელოვნად შემცირდა და ამ ფაქტს ვთვლით, როგორც WBH ჰორმონის ეფექტის კარგად გამოხატულ ქცევით გამოვლინებას. ქცევითი აქტივობის ძალზე მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც მიზნად ისახავს არაეთიოლოგიური პირობებისგან თავის დაღწევას ჟანგვითი სტრესის საპასუხოდ (ჰიპერთერმული ზემოქმედებით გამოწვეული), ჩვენი აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაში გამოწვეული სტრესის დოზა იყო ჰორმონის მექანიზმების სტიმულირებისთვის. საჭირო ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ ცხოველის ქცევაში ყველაზე შესამჩნევი ცვლილებები შეინიშნებოდა 40°C ტემპერატურაზე ზემოქმედების შემდეგ, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ამ ტემპერატურას, მაგრამ მიღებული შედეგების თანახმად, 45°C ტემპერატურის გამოყენება სქემა 6 გვიჩვენებს ჰიპერთერმიის კამერაში მომატებული ტემპერატურის (45°C-მდე) გავლენას ცხოველების ტესტირებული ჯგუფების ქცევაზე.




სქემა 6. ლაბირინთის გავლის დრო კონტროლისა და ტესტირებული ცხოველების WBH-ზე (40 და 45°C)

ჯგუფებისათვის. მონაცემები მიღებულია საშუალო  $\pm$  SD. \* $P < 0.05$ , საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.

როგორც ვხედავთ, ტესტირების მესამე დღიდან ცხოველთა ამ ჯგუფის ქცევა მკვეთრად განსხვავდებოდა და  $45^{\circ}\text{C}$  ჰიპერთერმიის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ცხოველებს 50 წამზე მეტი დასჭირდათ (5-ჯერ მეტი ვიდრე  $40^{\circ}\text{C}$ -ს შემთხვევაში, და 2,6 – ჯერ მეტი ვიდრე საკონტროლო ჯგუფი) ლაბირინთის გავლისთვის. ყველა განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო ( $p < 0.01$ ). ამრიგად, ტესტირების მესამე დღიდან ჩაიშალა ჰიპერთერმიის ზემოქმედება  $45^{\circ}\text{-ზე}$ . ჩვენ ვხედავთ, რომ ჰორმეზის მთავარი იდეა (გამოწვეული სტრესის დოზაზე დამოკიდებული ეფექტი) ძალიან მკაფიოდ გამოიკვეთა.

ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში ჩვენ შევეცადეთ გამოგვევლინა ხელოვნურად შეცვლილი (გამწვავებული) სისხლის რეოლოგიური თვისებები, რომლებიც გამოწვეულია მაღალი მოლეკულური დექსტრან T-500-ის 10%-იანი ხსნარის ინიექციით, ლაბირინთური ექსპერიმენტებით კომბინირებულ და WBH ზემოქმედების გარეშე ( $40^{\circ}\text{C}$ ) ცხოველების ქცევა ტესტირებულ ოთხ ჯგუფში ( $4 \times 16$  ცხოველი). როგორც ნაჩვენებია სქემა 7-ზე, საკონტროლო და დექსტრანული ინიექციური ჯგუფების ქცევა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. ცხოველების ჯგუფმა, რომლებსაც ჰიპერთერმია ( $40^{\circ}\text{C}$ ) დაექვემდებარა, მკვეთრად გამოხატა ჰორმეზული მოქმედება, ხოლო დექსტრან T-500-ის ინიექციით გამოწვეული გამწვავებული სისხლის სიბლანტის მქონე ცხოველების იგივე ტემპერატურის ზემოქმედებამ მნიშვნელოვნად შეცვალა (და სტატისტიკურად დაადასტურა) რომ ჰორმეზის ლიკვიდაცია მოხდა. ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ასევე აჩვენა, რომ ყველა გამოკვლეულ ეფექტს აქვს საკმაოდ ძლიერი ერთფეროვანი დამოკიდებულება სითხის ზემოქმედების დოზაზე გაზომილი პარამეტრების ფართო სპექტრში და მათი განზომილებიანი კომბინაციები საკმარისად დაბალი ექსპოზიციის დოზებშიც კი ლეტალური და ქველეტალური დონისგან არიან

ძალიან შორს. ამიტომ მათ შეუძლიათ მოგვევლინონ არა მხოლოდ როგორც ჰორმეზისის და იმუნური დამცავი მექანიზმების სტიმულირების ეფექტური საშუალება, არამედ ტოქსიკურობის შესამოწმებლად პრაქტიკულად უვნებელი მეთოდი ექსპერიმენტული ცხოველების გამოყენებით.



სქემა 7. საკონტროლო, WHB (40°C), დექსტრან T500 მიღებულ და დექსტრან T500 + WHB (40°C) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ცხოველების ლაბირინთში გავლის დრო. მონაცემები მიღებულია საშუალო ± SD. \*P<0.05, საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.


#### 4.3. აზოტის ოქსიდის კვლევის შედეგები

დადგენილი სტანდარტების თანახმად, 250-300 U.Carr (dROM) ითვლება ნორმად, 301-320 დიაპაზონი არის საზღვარი ნორმალურ




და მომატებულ დონეებს შორის, 321-340 - დაბალი ჟანგვითი სტრესი, 341-400 - საშუალო დონე, 401-500 - მაღალი დონე და 500-ზე მეტი - ძალიან მაღალი ჟანგვითი სტრესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ WBH-ის 2 - საათიან 40-გრადუსიანმა დოზამ გაზარდა dROM, მაგრამ ნორმალური დონის ფარგლებში (სქემა 8).



სქემა 8. თავისუფალი რადიკალების (რეაქტიული ჟანგბადის მეტაბოლიტები - dROM) კონცენტრაციის გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემები ინტაქტურ ცხოველებში და ცხოველებში, რომლებიც ექვემდებარებოდნენ WBH-ს ორი საათის განმავლობაში 40C° ტემპერატურაზე. მონაცემები მიღებულია საშუალო ± SD. \*P<0.05, საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.


რა მოხდა ზემოთ აღწერილ პირობებში ანტიოქსიდანტების (პლაზმის ანტიოქსიდანტები - PAT) აქტივობასთან დაკავშირებით? როგორც ჩანს, უცვლელია ვირთაგვების (სქემა 9) წარმოდგენილი მონაცემებიდან, PAT- ის საშუალო დონე იყო 2593 +/- 260 და 40 - გრადუსიან WBH- 2285 +/- 250 - ზე - PAT- ის დონე შემცირდა.



სქემა 9. პლაზმის ანტიოქსიდანტების რაოდენობის განსაზღვრა ინტაქტურ და 40°C ჰიპერთერმია მიღებულ ცხოველებში. მონაცემები მიღებულია საშუალო ± SD. \*P<0.05, საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.


რა სტანდარტები აქვს ამ ინდიკატორს? თუ PAT- ის დონე 2800 U.Carr- ზე მეტია - ეს ითვლება ძალიან მაღალ დონედ; 2200-2800 - განიხილება, როგორც ნორმალური დონე; 2000-2200 არის სასაზღვრო ხაზის დიაპაზონი, 1800-დან 2000-მდე ოდნავ დეფიციტური მდგომარეობაა, ხოლო 1800-ზე ნაკლებად გამოხატული დეფიციტის სტატუსია. ამ მონაცემების საფუძველზე, ჩვენს შემთხვევაში ინტაქტურ ცხოველებში PAT- ის დონე ნორმალურ დიაპაზონში იყო, WBH-ის ზემოქმედების შემდეგ იგი შემცირდა, მაგრამ მაინც ნორმალურ დიაპაზონში იყო.

რა მოხდა გაზომილ ინდექსებთან დაკავშირებით, როდესაც აზოტის ოქსიდის არა-სელექციური ინჰიბიტორი L-NAME და NO დონორი (L-Arginine) შეიტანება ცხოველებზე ჰიპერთერმისთან ერთად? სქემა 10-ზე ნაჩვენებია მონაცემები მიღებული dROM დონის ცვლილებებთან დაკავშირებით.



სქემა 10. სქემაზე წარმოდგენილია რეაქტიული აზოტის მეტაბოლიტების დონის განსაზღვრა ინტაქტურ, ჰიპერტენზია მიღებულ, ჰიპერტენზია + L-NAME და ჰიპერტენზია მიღებულ+L-Arginine ინექცია ჩატარებულ ცხოველებში. მონაცემები მიღებულია საშუალო  $\pm$  SD. \* $P < 0.05$ , საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.

როგორც ვხედავთ (სქემა 10) პრაქტიკულად, არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ცვლილებები dROM-ის დონეზე, როდესაც ჰიპერტენზიული გამოვლენის დროს ჩვენ მივიღეთ L-NAME ან L-arginine. გვიჩვენებს მონაცემებს PAT ცვლილებების შესახებ, რომლებიც მივიღეთ იმავე ექსპერიმენტულ პირობებში. ორივე შემთხვევაში (WBH + L-NAME და WBH + L-Arginine) PAT-ის დონე გაიზარდა, მაგრამ მაინც ნორმალურ დიაპაზონში იყო (სქემა 11).



სქემა 11. პლაზმის ანტიოქსიდანტების რაოდენობის განსაზღვრა ინტაქტურ, ჰიპერტენზია მიღებულ, ჰიპერტენზია მიღებულ + L-NAME და ჰიპერტენზია მიღებულ + L-Arginine ინექცია ჩატარებულ ცხოველებში. მონაცემები მიღებულია საშუალო  $\pm$  SD. \* $P < 0.05$ , საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.

ერიტროციტების აგრეგაციის ინდექსის მნიშვნელობების სტატისტიკური მონაცემები მოტანილია ცხრილში 1, სადაც წარმოდგენილია ამ მაჩვენებლის მნიშვნელობები ნორმალურ (ოთახის ტემპერატურის პირობებში - 25-27°C) და აგრეთვე 40°C პირობებში.

| Te ტემპერატურა C° | საკონტროლო     | L-NAME *        |
|-------------------|----------------|-----------------|
| 25-27             | 1,4 $\pm$ 0,2  | 1,82 $\pm$ 0,13 |
| 40                | 29,2 $\pm$ 1,9 | 9,38 $\pm$ 0,1  |

ცხრილი 1. ერიტროციტების აგრეგაციის ინდექსის საშუალო სტატისტიკური მნიშვნელობები და სტანდარტული შეცდომა ნორმისა და მთელი სხეულის ჰიპერტენზიის პირობებში.

მონაცემები მიღებულია საშუალო  $\pm$  SD. \* $P < 0.05$ , საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში.

ცნობილია, რომ L-NAME-ს ინტრაპერიტონულმა შეყვანამ აზოტის ოქსიდის პროდუცირების მნიშვნელოვანი შემცირების (ან ბლოკადის) გარდა შესაძლოა გამოიწვიოს სისხლის ნაკადის ინტენსივობის მკვეთრი დაცემა და სისტემური არტერიული წნევის მკვეთრი მატება. (~60%-ით) [Bor-Kucukatay et al., 2000].

უნდა აღინიშნოს, რომ e-NOS ნორმის პირობებში არეგულირებს სისხლძარღვთა ბაზალურ ტონუსს (Moncada et al., 1991). სხეულის ტემპერატურის მატების საპასუხოდ NO ასევე ჩართულია ნეიროგენული თერმორეგულატორული ვაზოდილატაციის განხორციელებაში (Taylor, Bishop, 1993).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აზოტის ოქსიდი არის თერმორეგულაციის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, როგორც თავის ტვინში თერმორეგულაციის თვალსაზრისით, არამედ მთელი ორგანიზმისთვის. ერთროციტების აგრეგაციის ინდექსი კი არის ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის რეოლოგიურ თვისებებს დიდი როლი აქვთ სისხლის მიმოქცევის ინტენსივობასა და, შესაბამისად ტემპერატურული ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში. აგრეგაციის მაჩვენებელი კი დიდად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე (Lim et al., 2009), ამ უკანასკნელის გავლენა კი შესამჩვევია სისხლის პლაზმის სიბლანტეზე და ერთროციტების ურთიერთქმედებაზე, რაც ხელს უწყობს მათ აგრეგაციას (Neumann et al., 1987).

### **მიღებული შედეგების განხილვა**

ჩვენ ვაჩვენეთ, რომ შესწავლილ პირობებში მთელი სხეულის ჰიპერთერმია ხელს უწყობს ტემპერატურაზე დამოკიდებული დასწავლის პროცესებს და არ ცვლის მეხსიერების პროცესებს. გამოვლენილია ტვინის ტემპერატურის აუტორეგულაციის ფუნქციონი და მთლიანი სხეულის ჰიპერთერმიის გამოყენებულმა

ზემოქმედებამ 45°C-მდე არ გამოიწვია ცხოველის ტვინის ტემპერატურის შეცვლა. ერთროციტების აგრეგაციულობის ანალიზმა გამოავლინა მისი ზემოქმედება ტემპერატურაზე დამოკიდებულ ზრდაზე, ხოლო ერთროციტების დეფორმაცია პრაქტიკულად ნორმალურ დონეზე რჩება. ბიოსამედიცინო თვალსაზრისით, ტერმინი "ჰორმეზისი" აღწერს ფენომენებს, როდესაც ტოქსინების ან ნებისმიერი სხვა სტრესორების დაბალი დოზების საპასუხოდ, სხეულში ვითარდება პოზიტიური რეაქცია (ბიოლოგიური თვალსაზრისით), როგორც ადაპტაციური სტრესი. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ჰორმეზისის ფენომენისადმი და გაკეთდა უამრავი მცდელობა ფიზიკური, ქიმიური და ფსიქოლოგიური მექანიზმების გამოსაძიებლად (მაგ. რადიაციული ჰორმეზისის - დაბალი დოზების რადიოაქტიური ზემოქმედების დამცავი ეფექტი). ცოცხალი ორგანიზმების მდგრადობა სტრესებისადმი მისი სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და აშკარაა, რომ ამ წინააღმდეგობის ფორმირების მექანიზმების შესწავლას პრინციპულად მნიშვნელოვანი ხასიათი აქვს [Michalski A.I., Novoseltsev V.N., 2005].

ასე რომ, უანგვითი სტრესი არის "მდგომარეობა, როდესაც დაუანგვა აჭარბებს ანტიოქსიდანტურ სისტემებს სხეულში, მათ შორის წონასწორობის დაკარგვით"[Yoshikawa T., Naito Y., 2002]. ოქსიდაციური სტრესი მონაწილეობს მრავალი პათოლოგიური პროცესის განვითარებაში, მაგრამ მას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს უჯრედშიდა სიგნალის ტრანსდუქციის, ფიზიოლოგიური ადაპტაციისა და რეგულირების პროცესებში. დ. ჰარმანის თეორიის მიხედვით [Harman, D. Hildebrandt B., 2002], ოქსიდაციური სტრესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაბერების პროცესებში. მრავალ ნაშრომში მოცემულია ამ თეორიის შემდგომი განვითარება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თავისუფალმა რადიკალებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს

ხელი მეტაბოლურ ჯანმრთელობას და სიცოცხლის ხანგრძლივობას [Ristow M, Schmeisser S., 2011].

ეს ეფექტი ცნობილია როგორც მიტოქონდრიული ჰორმეზისი (მიტოჰორმეზისი). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიღებული შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩვენს ექსპერიმენტებში დავინახეთ ჰორმეზისის ფენომენის ქცევითი გამოვლინებები. ქცევითი აქტივობის ძალზე მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც მიზნად ისახავს არაეთიოლოგიური პირობებისგან თავის დაღწევას ოქსიდაციური სტრესის საპასუხოდ გამოწვეული ჰიპერთერმული ზემოქმედებით.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევებში გამოწვეული სტრესის დოზა იყო ჰორმეზული მექანიზმების სტიმულირებისთვის საჭირო დიაპაზონში. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ ჰორმეზისის ფენომენთან გვაქვს საქმე, ჩვენ გამოვიყენეთ ჰიპერთერმიის ზემოქმედების უფრო მაღალი დოზა (45°C).

და ბოლოს, ჩვენ დავაკვირდით ამ ფენომენის მოშლას და ქცევის დაჩქარება ჩაანაცვლა ცხოველის მოძრაობის კარგად გამოხატულმა შენელებამ, რაც დამახასიათებელია ჰორმეზისის ფენომენისთვის, რომელიც აჩვენებს დადებით ეფექტს დაბალ დოზებზე და უარყოფით ეფექტს სტრესორის მაღალ დოზებზე.

ჰიპერთერმული ზემოქმედება შეიძლება იყოს სიმსივნის ქსოვილის ადგილობრივი ჰიპერთერმიის დროს ძალიან ეფექტური სიმსივნის საწინააღმდეგო მეთოდი, რადგან პირველ ეტაპზე ეს იწვევს ქსოვილებში ჟანგბადის ზრდას (რაც ვარზურგის და პასტერის ეფექტების ერთობლივი მოქმედების თანახმად, არ არის ხელსაყრელი პირობა სიმსივნური უჯრედებისთვის) და შემდეგ ეტაპებზე ხდება ერიტროციტების აგრეგაციის მომატება და სისხლის სიბლანტის გაუარესება, რაც იწვევს სიმსივნის ქსოვილში სისხლის ნაკადის სწრაფ შენელებას და შეჩერებას (როგორც ეს დაფიქსირდა 45°C შემთხვევაში), გლუკოზის მომარაგების დარღვევას და უჯრედების სიკვდილს.

მთელი სხეულის ჰიპერთერმიის დროს, ჩვენი შედეგების მიხედვით, ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 40°C-ს, როდესაც RBC-ის გაზრდილი აგრეგაციის დონე კვლავ საშუალებას იძლევა სისხლის მიმოქცევა შენარჩუნდეს მთელ ორგანიზმში ნორმალურ დონეზე (მუშაობს ჰორმეზული ეფექტი) და ჰიპერთერმული ყველა სხვა სარგებელი, ექსპოზიცია კვლავ მოქმედებს.



## დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები

ჰორმეზული მექანიზმების სტიმულირება შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ სხვადასხვა სახის სტრესორებთან ადაპტაციისთვის, არამედ მრავალი პათოლოგიური პროცესის (მათ შორის კიბოს) წარმატებული მკურნალობისთვის;

WHB 40°C – ზე შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ერთ – ერთი ყველაზე ეფექტური ფაქტორი ჰორმეზული მექანიზმის ამოქმედებისათვის, განსაკუთრებით კიბოს კლინიკებში, მაგრამ ის არ უნდა იქნას გამოყენებული მაღალ და დაბალ ტემპერატურაზე; სიმსივნის ქსოვილების ლოკალიზებული ჰიპერთერმია 41-45°C ტემპერატურაზე არის კიბოს საწინააღმდეგო მკურნალობის უფრო ეფექტური მეთოდი, ვიდრე WBH;

ყველა შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვიყენებთ ჰორმეზულ მექანიზმს, როგორც ადაპტაციისთვის, ასევე სამედიცინო დახმარების მიზნით, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ გამოყენებული დოზები არ აღემატება ჰორმეზურ დიაპაზონს.

ქცევითი და სისხლის რეოლოგიის ეფექტის ფიქსაცია და ინტერპრეტაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სინთეზური და ბუნებრივი ნივთიერებების ტოქსიკურობის შესამოწმებლად (მათ შორის ფარმაცევტული საშუალებები, ანტივირუსული და ანტიმიკრობული საშუალებები, ინსექტიციდები / აკარიციდები / ფუნგიციდები / ჰერბიციდები და ა.შ.), როგორც ყველაზე თანამედროვე ტესტირების მეთოდოლოგია. როგორც შედეგებიდან ჩანს, ზომიერი ჰიპერთერმია (40°C) კი იწვევს თავისუფალი რადიკალების (dROM) კონცენტრაციის მნიშვნელოვან ზრდას (მაგრამ ნორმის ფარგლებში), ამასთან, საიმედოდ იკლებს, მაგრამ ასევე ნორმის ფარგლებშია, ანტიოქსიდანტური მოქმედების (PAT). ეს საკმაოდ ლოგიკურია, ვინაიდან თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის ზრდამ, რაც ჰიპერთერმიის დროს ხდება, ბუნებრივად უნდა გამოიწვიოს ანტიოქსიდანტური აქტივობის დონის შემცირება. მაგრამ ამ

კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა აზოტის ოქსიდის როლის გარკვევა dROM და PAT- ის ამ ცვლილებებში.

როგორც ზემოთ მოცემული მონაცემებიდან ჩანს, როდესაც ჩვენ ვზომავდით DROM-ს WBH პირობებში, როგორც L-NAME-თან, ასევე L-Arginine-თან ერთად (ეს არის არსებითად ორი აგენტი, რომელთა გავლენა NO-ს შემცველობაზე უნდა იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო) dROM-ის დონე პრაქტიკულად დარჩა WBH-ის მოქმედებებში მიღწეულ ფარგლებში.

რაც შეეხება PAT-ს, მისი დონე საიმედოდ გაიზარდა სუფთა ჰიპერტენზიის პირობებში მიღებულ დონეზე, მაგრამ ეს იგივე იყო, როდესაც ვიყენებთ კომბინაციას L-NAME ან L-Arginine- თან.

### **ამრიგად, მოკლედ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:**

1. ჰიპერტენზია თითქმის ყოველთვის გამოიყენება კიბოს თერაპიის სხვა ფორმებთან ერთად, როგორცაა ქირურგია, სხივური თერაპია და ქიმიოთერაპია.
2. ჰიპერტენზიამ შეიძლება ზოგიერთი კიბოს უჯრედი უფრო მგრძობიარე გახადოს დასხივების მიმართ, ან ზიანი მიაყენოს სხვა კიბოს უჯრედებს, რომლებზეც არ მოქმედებს რადიაცია.
3. ნაკლებად ცნობილია მთელი სხეულის ჰიპერტენზიის (WBH) დასწავლისა და მეხსიერების პროცესებსა და სისხლის რეოლოგიურ თვისებებზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ. სწორედ ამ საკითხების კვლევა წარმოადგენდა მოცემული ნაშრომის მიზანი, ხოლო კვლევის პროცესში წარმოიშვა ახალი სამიზნეები, რომელთა შესწავლამ გამოავლინა მთელი სხეულის ჰიპერტენზიის ახალი, მანამდე უცნობი სამკურნალო პოტენციალი. ლაბორატორიულ ვირთაგვებზე ჰიპერტენზიულ კამერაში ექსპოზირების პირობებში მრავალსულიან ლაბირინთში ქცევით მაჩვენებლებზე დაკვირვების და სისხლის რეოლოგიური მახასიათებლების გაზომვის გამოყენებით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ:

WBH შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ჰორმეზული ფენომენის წარმოქმნის და განვითარების ერთ-ერთი ეფექტური ფაქტორი.

4. ყველა შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვიყენებთ WBH-ს, როგორც ჰორმეზული ფენომენის „გამშვებ ტრიგერს“, ონკოლოგიურ ან სხვა სახის კვლევებში პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ჰიპერთერმის ტემპერატურული ინტერვალი იყოს „ჰორმეზული დიაპაზონის“ ფარგლებში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჰორმეზული მექანიზმის ეფექტურობისათვის, არამედ სისხლის რეოლოგიური მაჩვენებლების შესაბამისი ნორმის ფარგლებში შესანარჩუნებლად.

## გამოქვეყნებული პუბლიკაციები

1. „Study of behavioral changes induced by oxidative stress“, International Journal of Progressive Sciences and Technologies Vol 30, No 1, 2021
2. „Oxidative stress effect on memory and learning processes and blood rheological properties caused by hyperthermia of the whole body in white rats“, Вестник науки и образования, No 15 (118), 2021
3. „Hormesis effect of radon nanoparticle in Tskaltubo water on audiogenic seizures in rats of the Krushinsky-Molodkina line" კატეგორია: სამეცნიერო - მეთოდური ნაშრომი, დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა 25.10.2021
4. „Whole Body Hyperthermia Induced Phenomenon of Hormesis“ (Experimental Study) Bulletin of the GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 14, no. 4, 2020
5. „The role of the Nitric Oxide System in the development of Oxydative Stress in conditions of Whole Body Hyperthermia“, IV International Congress of Georgian Ivane Beritashvili Society of Physiologists, September 23-25, 2019 Tbilisi, Georgia

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Assaad W, Kozhaya L, Araysi S, Panjarian S, Bitar FF, Baz E, El-Sabban ME, Dbaibo GS. Ceramide and glutathione define two independently regulated pathways of cell death initiated by p53 in Molt-4 leukaemia cells. *Biochem J.* Dec 15;376(Pt 3):725-32; 2003
2. Allen R.G., Oxidative stress and superoxide dismutase in development, aging and gene regulation. *Age.*, 21, 47-76, 1998
3. Aloni-Grinstein R, Schwartz D., Rotter V. Accumulation of wild-type p53 protein upon irradiation induces a G2 arrest-dependent immunoglobulin light chain gene expression. *EMBO J.*, 14, 1392-1401, 1995
4. Arnold W. P., Mittal C. K., Katsuki S., Murad F. Nitric oxide activates guanylate cyclase and increases guanosine 3':5'-cyclic monophosphate levels in various tissue preparations. *Proc. Natl Acad. Sci. USA.*, 74, p.3203-3207., 1997
5. Bakker A., J. Van Der Zee, G. Van Tienhoven, H. P. Kok, C. R. N. Rasch, H. Crezee, *Int. J. Hyperthermia* **36**, 1023, 2019
6. Barnett S. A. Naming and Taming // *The Story of Rats: Their Impact on Us, and Our Impact on Them.* — Allen & Unwin,— P. 21–23, 2002
